გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N29 (9173) | 20 ოქტომბერი. 2015 წელი | ფასი 50 თეთრი

# "სამტრედიის მაცნე" 85 წლისაა

## ხათუნა ლებანიძის ვაჟკაცობით... 3



## ანზორ მაჩიტიძის მემორიალი საჭადრაკო კალენდარში ადგილს დაისაკუთრებს 9



## "საქართველოსაგან მერაბს!" 5

## სიგნალი არ არის! 6

## "ბზის ალეტა" – მეცენატის დემოკრატია და ხმობა

## უფლება უფლების წილ? 3

## დახმარებამოხსნილი 200 ოჯახიდან 150 უკიდურესად გაჭირვებულია 2

## გზა აღიარებისაკენ

"მადლობა ხალხს, სხვანაირად ამ ჯილდოს ვერ მივიღებდით" 4



6



6

"ინტელექტ-კლუბის არსებობის ისტორიაში ასეთი შედეგისთვის ჩვენს გუნდს ჯერ არ მიუღწევია"

## "ლადი" საზოგადოება "სამტრედიელთან" არსებული ჯგუფია

*„თქვენ ჩვენი მარგალიტები ხართ"*

# დახმარებამოხსნილი 200 ოჯახიდან 150 უკიდურესად გაჭირვებულია

**ნინო ნანიტაშვილი**



**ცოტა ხნის წინ** სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებს ვალერიანე ფოცხვერია დაჰპირდა, სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელ პირებს მათ უახლოეს დღეებში შეახვედრებდა და სამტრედიის მუნიციპალიტეტში კონკრეტული სააგენტოს მიმართ გაჩენილ კითხვებზე პასუხებს მოისმენდნენ. თუმცა ამ ეტაპზე ეს უკანასკნელი ვერ მოხერხდა.

19 ოქტომბრის ტრადიციულ თათბირს ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან საგანგებო მოწვევით მხოლოდ გიორგი ნიკურაძე ესწრებოდა და შესაბამისადაც სამტრედიის რაიონული განყოფილების უფროსს მოუხდა ყველა იმ კითხვაზე პასუხის გაცემა, რაც დიდი ხანია აწვალებს მოსახლეობას, ხოლო ახალ ხელისუფლებას ვერ გაურკვევია, რატომ იმატა მაინცდამაინც მათი მმართველობაში მოსვლის შემდეგ დახმარებაჩამორთმეულ ოჯახთა რაოდენობამ.



გიორგი ნიკურაძეს ჯერ ბრალდებები ვალერიანე ფოცხვერიამ წაუყენა და უფრო მეტი ეფექტისთვის საკუთარი სოფელი და კონკრეტული ადამიანი დაუსახელა _ ლევან კახაძე: ‘‘ჩემთვის გაუგებარია ამ ოჯახზე დახმარების მოხსნა. აღარ ვამბობ იმას, რომ დღეში 20-30 კაცი მოდის გამგეობაში საჩივრით და მათგან თქვენი აგენტებისა და პროგრამის ლანძღვას ვისმენთ, მე, შემიძლია, კატეგორიული ვიყო ლევან კახაძის შემთხვევაში. ამაზე უფრო გაჭირვებული საქართველოში კაცი არ მეგულება. მაინცდამაინც მას მოუხსნეს. რა დაინახა თქვენმა აგენტმა მის ოჯახში და რა შეფასება დაწერა ისეთი, რომ კახაძეს მაღალი ქულები ჩამოუვიდა და დახმარება აღარ დაუტოვეს?!’’

მუნიციპალიტეტის გამგებელს რამდენიმე სოფლის წარმომადგენელი აჰყვა და გიორგი ნიკურაძე ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს, თავის მართლებას აზრი აღარ ჰქონდა. სამტრედიის განყოფილების უფროსი მაქსიმალურად ცდილობდა, თავისი აგენტისთვის კრიტიკა აეცილებინა და შექმნილი სიტუაცია ახალი ფორმულირებისთვის დაეკავშირებინა: ‘‘სამტრედიაში თანხის მიმღები, დაახლოებით, 1600-მდე ოჯახია. 2015 წლის 1-ლი მაისიდან შემოვიდა ახალი დებულება ახალი ფორმულირებით, სადაც ძირითადი ყურადღება ექცევა ბავშვებს. ვიცი, საზოგადოების განწყობა. ისინი საყვედურებით პირველად ჩვენთან შემოდიან, გვლანძლავენ და მერე მოდიან თქვენთან. პირველ დარტყმას ჩვენ ვღებულობთ. გვიჭირს მათი დარწმუნება, რომ დახმარების მოხსნას ფორმულა განაგებს და არა ჩვენ. სააგენტო მხოლოდ შუა რგოლია. ყველა მიმღები უნდა იყოს შემოწმებული. თვეში 300-400 ოჯახის შემოწმება გვიხდება. ახალ ფორმულირებასთან დაკავშირებით ხდება განმეორებითი გადამოწმებები, რის შედეგადაც დახმარება უჩერდებათ ბენეფიციარებს, რომლებსაც ახალი სარეიტინგო ქულების მინიჭების შემდეგ დაუდგინდებათ, სოციალური დახმარება გაუგრძელდებათ, თუ მოეხსნებათ’’.

გიორგი ნიკურაძის განმარტებით, ასეთი სამტრედიაში 200 ოჯახი აღმოჩნდა. სამტრედიის რაიონული განყოფილების უფროსი არ მალავს, რომ მათგან 150 უკიდურესად გაჭირვებულია. თავადვე არ ულიარებია, თუმცა სამწუხარო სტატისტიკის მოტანით გიორგი ნიკურაძემ ფარდა ახადა ახალი ფორმულის უეფექტო, დანაშაულებრივ საქმიანობას, რაც სოციალურად დაუცველი მასების სამართლიან გაღიზიანებას იწვევს და საბოლოო ჯამში იმ ხელისუფლების კრიტიკას, რომელსაც დღეს თავმოსაწონი საყოველთაო ჯანდაცვა და სწორედ ეს პროგრამა უნდა ჰქონდეს.

სიტყვა ‘‘დივერსია’’ არ უხსენებიათ, თუმცა ბევრი არაფერი დაუკლიათ ნაბაკევისა და ღანირის თემებში გამგებლის წარმომადგენლებს. გიორგი ნიკურაძეს კი ‘‘ქართული ოცნების’’ ხელისუფლებაში მოსვლამდე სააგენტოს თანამშრომელთა მუშაობის პრინციპი შეახსენეს.

თამაზ გაბელაია, ღანირის თემში გამგებლის წარმომადგენელი იმ დღეს გიორგი ნიკურაძეს აშკარად დაუპირისპირდა: ‘‘ეჭვი მაქვს, თქვენი სამსახური შეგნებულად არჩევს ბენეფიციარებს. კონკრეტულად ჩემს სოფელში რატომ მივიდა აგენტი პირველად ულატაკეს ოჯახში და შეუჩერა დახმარება და არ მივიდა იმ ოჯახში, რომელიც იღებდა ასევე სოციალურ დახმარებას, მაგრამ მთელმა სოფელმა ვიცით, რომ მას მანქანა და რვა სული საქონელი ჰყავს? დღეს ამბობთ, აგენტს არა აქვს უფლება სოფლის წარმომადგენელი საქმის კურსში ჩააყენოს და თან იახლოსო. დაგავიწყდათ, ‘‘ნაციონალების’’ კორდონით რომ დადიოდით სოფელში?’’

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე გიორგი ნიკურაძის გასაგონად მელაურისა და გორმაღლის წარმომადგენლებს პრეტენზიები ახალ ფორმულასთან ერთად უშუალოდ აგენტებისა და სააგენტოს სამტრედიის რაიონული განყოფილების თანამშრომელთა მიმართ ჰქონდათ. სოფიკო კიკაჩეიშვილი და ხათუნა ლებანიძე პირდაპირ ხაზს უსვამდნენ სოციალურად დაუცველ ადამიანებსა და აგენტებს შორის დაძაბულ ურთიერთობაზე.

სოფიკო კიკაჩეიშვილი, მელაურის თემში გამგებლის წარმომადგენელი: ‘‘მოსახლეობას ძალიან ცუდად ექცევით. გაღიზიანებულ ხალხს ნორმალურად პასუხის გაცემის მიუხედავად ეჩხუბებით და ლანძღავთ. პირადად ვარ ამის შემსწრე’’.

ხათუნა ლებანიძე, გორმაღალში გამგებლის წარმომადგენელი: ‘‘მეტი ყურადღებით უნდა იყოთ აგენტების ქცევებზე, მათ მიმართვებზე. ცეცხლაძის ოჯახში მოვიდა თქვენი წარმომადგენელი, რომელმაც მთელი სოფელი გაკვირვებული და გაღიზიანებული დატოვა თავის უზრდელობითა და გულგრილობით. დაგიჩემებიათ ფორმულა, თქვენი აგენტი გულისხმიერად რომ მოეკიდოს ადამიანს, ამისთვის ფორმულა არ არის საჭირო’’.

გიორგი ნიკურაძე ყოველი კუთხიდან თავდასხმას იგერიებდა და ცდილობდა, სააგენტოს მიმართ წამოსული რისხვა აეცილებინა: ‘‘თუ კანონი არ დაიხვეწა, ჩვენ არაფრის შეცვლა შეგვიძლია. პრაქტიკულად, დღეს მე თავს ვიცავ მხოლოდ და მეტი არაფერი გამომდის. ყოველი თვის 5 რიცხვში რეგიონში ჩავდივართ. სამხარეო თათბირზე დავაყენებ საკითხს. მინდა, იცოდეთ, რომ სხვაგანაც იგივე სიტუაციაა. ჩვენი ზემდგომი ცდილობს, რაღაც შეცვალოს. რაც შეეხება ჩემს აგენტებს, მათ კანონი სოფლის წარმომადგენლებთან კონტაქტს და ერთად გასვლას უკრძალავს’’.

19 ოქტომბრის ტრადიციული თათბირი ამ კონკრეტულ პრობლემაზე მსჯელობით დიდხანს გაგრძელდებოდა, შემაჯამებელი სიტყვა გამგებელს რომ არ ეთხოვა. ვალერიანე ფოცხვერიამ თავის დასკვნაში სოციალური სააგენტოს მუშაობა უარყოფითად შეაფასა: ‘‘ზოგადად, სოციალური სააგენტოს მუშაობის უკმაყოფილო ვარ. თუ გაჭირვებულთა რაოდენობამ მოიკლო, ძალიან კარგია, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ეს ასე არ არის. თუ ფორმულას ვერ ცვლით, იმის გამოსწორება მაინც, ხომ შეგიძლიათ, რომ ბენეფიციარებს ზრდილობიანად მოექცეთ. თქვენს ზემდგომთან ვაპირებ საკითხის დაყენებას, ულირსი აგენტები სამსახურიდან გაათავისუფლონ. სხვა შემთხვევაში ასეთი მუშაობის სტილით თქვენი აგენტების საჭიროებას მე ვერ ვხედავ. დაგიჩემებიათ ფორმულაო, როგორც ვატყობ, თქვენც არ მოგწონთ. მისწერეთ მაშინ თქვენს ზემდგომს, არ არის ეს ფორმულა გამართლებული-თქო. მაგრამ ასე არ შევებით. მე ერთ რამეს ვუყურებ, ზარალდება ჩვენი მოსახლეობა და იმიჯს ურცხვენთ ხელისუფლებას’’.

ასეთი ემოციური ფონის მიუხედავად ორშაბათის ტრადიციული თათბირი პოზიტიური განწყობით დასრულდა. გამგებლის მოადგილემ, ლიზა კრავეიშვილმა დარბაზს სასიამოვნო ინფორმაცია გააცნო: საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა ოლიმპიური მოძრაობის მხარდაჭერისა და სამტრედიაში ოლიმპიური ღონისძიებების საუკეთესო ორგანიზებისთვის ერთ-ერთ საუკეთესო ორგანიზატორად დაასახელა და სიგელით დააჯილდოვა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსი. ნატალია მანჯგალაძეზე სიგელის გადაცემის პატივი იმ დღეს ვალერიანე ფოცხვერიას ხვდა წილად. თავის მხრივ ქალბატონმა ნატალიამ გამგებელს წიგნი ‘‘მოგზაურობა ოლიმპოში’’ საჩუქრად გადასცა. ცნობისათვის, ამ დღეებში წიგნები სამახსოვროდ 37-ვე საჯარო სკოლას გადაეცემა.

# ‘‘ბზის ალურა’’ – მცენარის დეფოლიაცია და ხმობა

**ნინო ნანიტაშვილი**

***12 ოქტომბრის ორშაბათის ტრადიციული თათბირი სამწუხარო ინფორმაციით დაიწყო. მონაწილეთა ნაწილისთვის იმ წუთებში გახდა ცნობილი, რომ 11 ოქტომბერს ტრაგიკულად დაიღუპა გოჩა ქორიძე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი გამოჩინებულის თემში. კოლეგებმა და თათბირის მონაწილეებმა ახალგაზრდა მამაკაცის ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.***

***‘‘ბზის ალურა’’ _ ამ სახელით იწოდება მავნებელი, რომელიც შეესია ბზის კულტურას და მოახდინა მცენარის 100 პროცენტით დეფოლაცია და ხმობა’’. _ აღნიშნული ინფორმაცია ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე მიხეილ სხვიტარიძემ გააჟღერა.***

სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტმა დაწვრილებით აღწერა პროცესი, რომელიც 2014 წელს გურიის რეგიონში დაიწყო: ‘‘ერთი წლის წინ, ზაფხულში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შეკვეთილში აღმოაჩინეს მავნებელი, რომელიც ბზის კულტურაზე დაფიქსირდა. ‘‘ბზის ალურა’’ ჯერ კიდევ 2012 წელს ოლიმპიური სოფლის გასამწვანებლად იტალიიდან შემოტანილ ბზის სარგავ მასალასთან ერთად შეიჭრა სოჭის ტერიტორიაზე, საიდანაც 2013 წლიდან დაიწყო მავნებლის მასობრივი გავრცელება. შემდეგ შედეგმაც არ დააყოვნა და ქალაქ სოჭის ტერიტორიაზე, ნაციონალური პარკის ნარგაობაზეც გამოიწვია ბზის ასპროცენტიანი დეფოლაცია და ხმობა’’.

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე მიხეილ სხვიტარიძემ ადგილობრივ თვითმმართველობას გააცნო ის ღონისძიებები, რაც ჩვენს მუნიციპალიტეტში უნდა გატარდეს: ‘‘მავნებლის წინააღმდეგ გამოყენებული უნდა იქნას მექანიკური ბრძოლის ღონისძიება. რაც ითვალისწინებს ბზის ღრმად გასხვლას და შემდგომ მის ადგილზევე დაწვას. ხოლო ძლიერ დაზიანებული მცენარე ძირში უნდა მოიჭრას და დაიწვას. მავნებლის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყენებული უნდა იქნას ასევე ქიმიური საშუალება შემდეგი პრეპარატებით: ‘‘დეცის პროფი’’, ‘‘დეცისი’’, ‘‘კარატე’’, ‘‘ფასტაკი’’, ასევე შეიძლება გამოვიყენოთ უფრო ძლიერი მოქმედების სისტემური პრეპარატი ‘‘ბი-58’’.

ზემოაღნიშნული პრეპარატები გამოყენებული უნდა იქნას და ეფექტურია მხოლოდ ახალგაზრდა ასაკის მატლების წინააღმდეგ. აქვე ვაფრთხილებ მოსახლეობას, შეწამვლის პროცესში დაიცვას უსაფრთხოების ნორმები.

ამის გარდა ბზას გაუჩნდა სოკოვანი დაავადება, რომელიც ცნობილია ‘‘ბზის დამწვრობის’’ სახელწოდებით. საქართველოში იგი 2011 წლამდე არ იყო რეგისტრირებული. პირველად დაფიქსირდა ხელვაჩაურის რაიონის მტირალას ეროვნულ პარკში, სადაც გამოიწვია საუკუნოვანი ნარგაობის ხმობა. ეს დაავადება ჯერ შესწავლილი არ არის, მაგრამ მის წინააღმდეგ ქიმიური წამლობა გამოიყენება. უნდა ითქვას, რომ სოკოს ვერ კლავენ, მხოლოდ თრგუნავენ შემდეგი პრეპარატებით: ‘‘ტოპაზი’’, ‘‘პრეფექტო’’, ‘‘სტრობი’’, ‘‘პროგრესი’’.



სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს სპეციალისტის თქმით, აგვისტოში ეროვნულ სატყეო სააგენტოში უკრაინელ ექსპერტებთან ერთად კოლხური ბზის ხმობასთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ სამეგრელო ზემო-სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, გურია-იმერეთის და კახეთის სპეციალისტები. მათ განახორციელეს საველე შესწავლები, კოლხური ბზის ხმობის გამომწვევი მიზეზები, იქვე აღებული იქნა ნიმუშები და გადაიგზავნა ევროპის ლაბორატორიებში შესასწავლად.

საველე შესწავლები დასავლეთ საქართველოში ამ დრომდე გრძელდება. ვინაიდან ‘‘ბზის ალურა’’ დასავლეთ საქართველოში მძვინვარებს: ‘‘ამ კუთხით სურათი ძალიან მძიმეა. თითქმის დეფოლირებულია ყველა მცენარე. ვინაიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში ბზა მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთსა და სასოფლოებზეა მოშენებული, შესაბამისად ბზის ხმობის შემთხვევაშიც ამ ტერიტორიებზე ფიქსირდება. სხვა კუთხისგან განსხვავებით ბზის კორომები ჩვენ არ გაგვაჩნია.

იმედის მომცემია დიდ ჯიხაიშში ნიკო ნიკოლაძის სახელობის მუზეუმის ეზოში არსებული ბზის ნარგაობა, რადგან ხელმძღვანელობამ იქ რამდენჯერმე და თავის დროზე ჩაატარა ქიმიური დამუშავება და შედეგიც კარგია’’.

მიხეილ სხვიტარიძის განმარტებით, წელს მკურნალობა დაგვიანებულია, მავნებელი მატლი დაჭუპრიანებაშია წასული. ამდენად, წამლობა არაეფექტურია. სპეციალისტი მოსახლეობას მომავალი წლიდან, აპრილ-მაისი-სექტემბრის ჩათვლით გააქტიურებას და ახალგაზრდა ასაკის მატლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიების დაწყებას ურჩევს.

# ხათუნა ლებანიძის ვაჟკაცობით...

თეა ბაბუნაშვილი

***გორმაღლის თემისკენ მიმავალ იმ გზას მიუყვებოდნენ ავტომანქანები, რომლის მარჯვნივ ჩოხატაურის, მარცხნივ კი სამტრედიის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაა. გზა თანდათან სულ უფრო მთაგორიანი ხდებოდა. მალე ნამდვილ სოფელში მოხვდნენ სტუმრები. ნამდვილ სოფელს ისეთს ეძახიან, მტვრიანი ორღობეებით, სიძველეშეპარული ოდებით, მშვიდი გარემოთი და სიწყნარით რომ შემორჩა დღევანდელობას, სადაც აბობოქრებული თანამედროვეობიდან თავის შესაფარებლად გაქცევას ინატრებ. აქაურობაც იმ საერთო სატკივარის ნაწილია, მთელს საქართველოს დასაფიქრებელ პრობლემად რომ გაუხდა – იცლება სოფელი!***

როგორც თემში გამგებლის წარმომადგენელმა, ხათუნა ლებანიძემ გვითხრა, 350 მოქმედი კომლიდან 230 შემორჩა გორმაღალს. ამიტომაც იხუმრა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერი ფოცხვერიამ, იმდენი სტუმარი მივდივართ, იქნებ ამ რაოდენობის ბავშვი არ დაგვხვდეს საბავშვო ბაღშიო, ქალაქიდან ჩასულ გამგეობის, საკრებულოს, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების სამსახურების წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს ერთად შეკრებილებს რომ გადახედა.

საბავშვო ბაღში კი, რომლის გახსნის აღსანიშნავადაც ჩამოვიდნენ, 2-დან 6 წლამდე 27 აღსაზრდელი დახვდათ. კომუნისტების მერე, ანუ 30 წელზე მეტია, სოფელში საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებს. ხათუნა ლებანიძე, მას შემდეგ, რაც გორმაღლის თემზე პასუხისმგებლობა აიღო, როგორც იტყვიან, ხმალამოღებული იბრძოდა მის აღსადგენად. ამ სოფლის ქართულ ოცნებებს შორის, ეს ერთ-ერთია, რომლის ახდენასაც აქ მიაღწიეს. გამგებლის წარმომადგენელი და მაჟორიტარი დეპუტატი ამ ერთის არაერთად ქცევას პირდებიან გორმაღლელებს, რადგან სხვაც არაერთი დარჩა და ვინც ხათუნა ლებანიძის შემართებისა იცის, მათი ახდენაც ეიმედება.

საბავშვო ბაღი კი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოაწესრიგეს. სოფლის გამგეობის შენობის მეორე სართული მთლიანად მას დაუთმეს, პირველ სართულზე კი, თემის გამგეობა და სამედიცინო ამბულატორიაა განთავსებული. აქაურმა მკვიდრმა, ბიზნესმენმა, ედემი ბოცვაძემ, თავის მხრივ სოლიდური თანხა გამოჰყო სხვადასხვა საჭიროებისთვის. მალე ხის კარ-ფანჯარა მეტალოპლასტმასით შეიცვლება. "ჯერჯერობით ყველა სამუშაო დასრულებული არ არის. სულ მალე უფრო კომფორტული გახდება ჩვენი საბავშვო ბაღი. ვფიქრობთ, ეს ერთ-ერთია, რაც სოფლიდან ახალგაზრდების მიგრაციას შეაფერხებს, თორემ იგი ყოველდღე უფრო შემაშფოთებელი ხდება. ჩვენს სკოლაში, რომელიც 9 კლასის ბაზაზე ფუნქციონირებს, 45 მოსწავლიდან 13-ღა დარჩა."– სწუხს ხათუნა ლებანიძე. აქვე სხვადასხვა პრობლემაზეც საუბრობს: – "როგორც ყველა მაღალმთიან სოფელს, უწყლობა და უგზოობა ძალიან აზარალებს გორმაღალს. თუმცა, დამეთანხმებით, უწყლობას წინ ვერაფერი დაუდგება. სოფლის პროგრამით ამ პრობლემის მოგვარებასაც გვინდა შევეჭიდოთ. უკვე დაწყებულია ამაზე ზრუნვა." გულისტკენით გვითხრა გორმაღლის დეპუტატმა, გრიგოლ ჩიგოგიძემ, 70 დაუოჯახებელი ახალგაზრდა ცხოვრობს ამ სოფელში, აქეთ გამოთხოვებას არავინ აპირებსო. "თქვენ გაათხოვებთ შვილს გორმაღალში?"– ჰკითხა ბოლოს ამ წერილის ავტორს. მომიტევოს მკითხველმა, პასუხად გადაჭრილი უარისთვის. ჰოდა, დეპუტატიც სამართლიანი და ადეკვატური იყო – "შენისთანა ჟურნალისტებმა დააქციეს ქვეყანა!" რას ვიზამ, თხოვება-გათხოვების საკითხში ვღებულობ საყვედურს გორმაღლელებისგან!





საბავშვო ბაღში კი აქა-იქ იცრემლებოდნენ ჯერ ისევ შეუჩვეველი პატარები. ზოგი თამაშში გაერთო, ზოგიც სტუმრების თვალიერებაში. მისი მმართველი ლელა შანიძე აღნიშნავდა, რომ "ამ სასიკეთო საქმემ ყველა გაახარა. ეს სოფლის დიდი სურვილი იყო, იმდენად დიდი, რომ პიანინო და ჭურჭელი, მოსახლეობამ თავად შეუძინა საბავშვო ბაღს. ამ ეტაპზე ერთი ჯგუფი და ხუთი თანამშრომელი გვყავს. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ წარმატებით გავართვათ თავი საქმეს."

ეს 23-ე საბავშვო ბაღია სამტრედიის მუნიციპალიტეტში. არაერთ თემს აქვს მისი გახსნის სურვილი, მაგრამ როგორც სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი, ხათუნა ახობაძე აღნიშნავს, "აქ ბაღის გახსნა ხათუნა ლებანიძის დამსახურებაა. თუმცა, ეს იმანაც განაპირობა, რომ ადგილზე შესაფერისი შენობა გამოინახა, სოფლის პროგრამით ძირითადი სამუშაო შესრულდა, სოფლის მკვიდრი ბიზნესმენიც დაეხმარათ. ერთი სიტყვით, მატერიალური რესურსიც მოძებნეს. ჩვენმა გაერთიანებამ მცდელობა არ დააკლო და პრობლემა მოგვარდა. ყველა სოფელში გვაქვს საბავშო ბაღის გახსნის სურვილი, შესაძლებლობაა ნაკლები თუ არა. ეს 23-ე საბავშვო დაწესებულებაა სამტრედიის სინამდვილეში." მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის გაღმა ზონა, როგორც სამტრედიაში მაღალმთიან სოფლებს ეძახიან, პრიორიტეტულია. "ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მაღალმთიანი, და ზოგადად, სოფლები არ დაიცალოს. მიგრაცია დამღუპველია სოფლებისთვის და აქედან გამომდინარე, ქვეყნისთვის. მის შესაჩერებლად სკოლა და საბავშვო ბაღი უპირველესია. სოფლის პროგრამით აქაურებმა წელს ეს მნიშვნელოვანი პრობლემა მოაგვარეს, გაისად წყლის პრობლემას შეეჭიდებიან. ჩვენგან ყველანაირი ხელშეწყობა ექნებათ." – აღნიშნა მან და აქვე იმაზეც ისაუბრა, რომ "დიდი სურვილი გვაქვს, საბავშვო ბაღები დაფნარში, ახალსოფელში, ნაბაკევში, ნოღაშიც გავხსნათ. 8 სოფელია მის გარეშე დარჩენილი, მაგრამ ერთია სურვილი და მეორე შესაძლებლობა. ამდენის საშუალება ამ ეტაპზე არ არის, თუმცა, მაქსიმალურად შევეცდებით, წელს კიდევ ორი საბავშვო ბაღი მაინც შევმატოთ მუნიციპალიტეტს."

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურმა ხაზი გაუსვა, რომ ქვეყნისა და რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტად მომავალი თობის აღზრდა რჩება. "ყველაფერი გვერდზე უნდა გადავდოთ მათი პრობლემების მოსაგვარებლად. ამ კონკრეტულ თემში ხათუნა ლებანიძემ ივაჟკაცა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მხარი აუბა და საქმეც გამოვიდა."

იმ დღეს გორმაღლის წმინდა ილია წინასწარმეტყველის და ნოლის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრების წინამძღვარმა, მამა დავითმა (თოლორაია) აკურთხა ახლად შექმნილი საბავშვო კერა. უფლის მფარველობით აქ არაერთი თაობა გაიზრდება. რაც შეეხება მრევლს, მამამ აღნიშნა, რომ სოფლის პირობაზე მის სიმცირეს არ უჩივის. "მიუხედავად იმისა, რომ სოფელი დაცლილია, ახალგაზრდები დადიან ტაძარში, მთავარია, ღვთის მადლი ტაძრიდან გასულებმა არ დაივიწყონ."

მთებში ჩაძირული გორმაღლის მტვრიან ორღობეებში უცხოური ავტომანქანები ქალაქის გზას დაადგნენ. ვიღაცამ თეთრი, უხვთოვლიანი ზამთრის იდილია ინატრა, აგიზგიზებული ბუხრით, ტაბლათი, შაშხით და წითელი ღვინით. თოვლში ჩაფლული სოფლის კერიიდან ამოსული კვამლი რომანტიზმისთვის, დიახაც, მისწრებაა, საქმე ამ რომანტიზმის უკან მიყუჟული ქვეყნის ძლიერებაა თორემ...

ეს ყველაფერი დაფიქრებად ღირს, რომ მალე სამშობლო ამ სოფლებივით მიტოვებული არ გახდეს, მონატრებული ქართული რომანტიზმით.

# უფლება უფლების წილ?



არავინ დავობს იმაზე, რომ ჩვენს ოთხფეხა მეგობრებსაც საკუთარი უფლებები გააჩნიათ და მათ ჩვენ, ადამიანებმა პატივი უნდა ვცეთ.

ამ დღეებში ისიც ცნობილი გახდა, რომ უკვე იკრძალება საცირკო სანახაობებში ცხოველების მონაწილეობა.

მიზეზი?

თურმე მათი გაწვრთნისას დარღვევა ხდება მათივე უფლებებისა.

ამ წერილის ავტორს არც ცხოველები გამიწვრთნია და უფლის წინაშე ისიც შემიძლია განვაცხადო, რომ არც ცხოველებისადმი გამოვირჩევი აგრესიულობით, მაგრამ ერთი საკითხი ნამდვილად ღირს დაფიქრებად.

სავსეა თბილისი, ქუთაისი, სამტრედია... მაწანწალა ძაღლებით.

ვეტერინარები რამდენადმე გვაიმედებენ, რომ მათი დიდი ნაწილი აცრილია, ყურზე საამისო დამღაც აქვთ, მაგრამ მაინც არ უნდა იყოს საამო და სასიამოვნო, ქუჩაში თუნდაც ცოფზე სხვა ინფექციაზე აცრილმა ძაღლებმა რომ დაგვკბინოს.

განსაკუთრებით სახიფათოა პურის საცხობებთან, კაფეებთან, სასადილოებთან ჩავლა.

გასაგები მიზეზების გამო ძაღლები სწორედ აქ იკრიბებიან და საშიშროებაც დაკბენებისა დიდია.

ბევრს აღარ გავაგრძელებთ.

მივესალმებით ცხოველთა უფლებების დაცვას, მაგრამ არა ჩვენი უფლებების ხარჯზე.

ლევან გაბეჩავა

## გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციას!

ჩემი ბავშვობის, ახალგაზრდობის და უკვე, ხანდაზმულობის საყვარელო გაზეთო ''სამტრედიის მაცნევ''.

გულით გილოცავ 85-ე იუბილეს, მრავალჯერ სახელშეცვლილო, მაგრამ შინაარსით, რწმენითა და დანიშნულებით უცვლელო გაზეთო, მრავალი სასიხარულო და სიახლის მომსწრე და ამსახველი ყოფილიყავი!

ამ დღეებში მოვიგონე შენი აწ გარდაცვლილი თანამშრომლები სიყვარულით და მოთმინებით რომ გიქმნიდნენ მაღალ ავტორიტეტს.

სიყვარულით და იმედით შევყურებ შენს დღევანდელ ნიჭიერ სარედაქციო კოლექტივს, რომლებიც დაუღალავი შრომით გინარჩუნებენ წარსულის დიდებას.

ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის მუდამ სასურველი და საპატივსაცემო გაზეთი იყავი, პრესის მრავალრიცხოვან ოჯახში განსაკუთრებული ინტერესით გამოირჩეოდი და პრესის გაცნობას შენით ვიწყებდით.

სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში კი დავშორდით ერთმანეთს, სხვადასხვა არასასიამოვნო მიზეზების გამო, მაგრამ სიყვარულით ისევ ისე მიყვარხარ. სიყვარულს კი ვინ აგვიკრძალავს, სიყვარულია მაინც მთავარი.

იუბილარს გისურვებ, მუდამ სიცოცხლისუნარიანი და სიახლის მატარებელი ყოფილიყავი.

**ლინეტა თვალავაძე**

## გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციას!

გულწრფელად გილოცავთ გაზეთის დაარსების 85-ე წლისთავს. გვახარებს ის, რომ, სოლიდური ასაკის მიუხედავად, გაზეთი შესანიშნავად უწყობს ფეხს თანამედროვეობის გაზრდილ მოთხოვნებს.

წარმატებები არ მოგკლებოდეთ, სახელოვან იუბილეს გილოცავთ!

**მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა**

## მეგობრებით ვართ ძლიერნი

''სამტრედიის მაცნესთან'' მეგობრობდნენ და მეგობრობენ ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები. ყველა თაობის ადამიანისთვის საყვარელი და ახლობელია გაზეთი, 85 წლის იუბილეს რომ ზეიმობს ამ დღეებში.

ვის არ სმენია სოფელ ბაშისა და ბაშში აკვანდარწეულ მამულიშვილთა შესახებ, ვრცელია მათი სახელების ჩამონათვალი...

ლეგენდარული პიროვნება, ომისა და შრომის ვეტერანი ბატონი ლავრენტი თვალავაძე ხომ თითოეული ბაშელისთვის (და არა მარტო) იყო და რჩება კაცურ-კაცობის, სინდის-ნამუსის, ზნეობრიობის ეტალონად.

იგივე შეიძლება ითქვას ბატონი ლავრენტის შვილებზე, შვილიშვილებზე.

სახელოვან მშობლებს სახელოვანი შვილები ჰყავთ. შუახნისა და უფროსი თაობის სამტრედიელებისთვის კარგადაა ცნობილი ქალბატონი ლინეტა თვალავაძის გვარ-სახელი, ბატონი ლავრენტის ერთ-ერთმა ქალიშვილმა მრავალი წელი მიუძღვნა მშობლიური სოფლის სამსახურს, საოცრად აქტიურ ქალბატონს მოცლილს ვერავინ ნახავდა, დიდია მისი, როგორც კვალიფიციური სპეციალისტის წვლილი რაიონში ერთ-ერთი უდიდესი ყოფილი ბაშის მეურნეობის მიღწევაში. საზოგადოებრივი დავალების გარეშე არასოდეს ყოფილა,. ხშირად ირჩევდნენ სოფლისა და რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში და ისიც მუხლჩაუდგამად იღვწოდა თანასოფელთა წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

16 ოქტომბერს ქალბატონი ლინეტა რედაქციაში გვეწვია და ერთ-ერთმა კი არა, პირველმა მოგვილოცა მშობლიური გაზეთის 85 წლის იუბილე. თავაზიანი მადლობა გადავუხადეთ ღირსეულ ქალბატონს და ვთხოვეთ _ ფოტოს გადაგიღებთ, თქვენს ღვაწლზე ორიოდ სიტყვას ვიტყვით და მილოცვას იქვე დავბეჭდავთ-თქო. სასტიკად იუარა, არც ფოტოზე დაგვთანხმდა და მასზე დაწერაზეც უარი გვითხრა.

ერთ თხოვნას ვუსრულებთ ქალბატონ ლინეტას, მეორეს _ ვერა, ორიოდე სიტყვით მის დიდ ღვაწლზეც ვწერთ და უღრმეს მადლობასაც მოვახსენებთ მილოცვისა და კეთილი სურვულებისათვის.

უეჭველია, იგი ერთ-ერთი საპატიო სტუმარი იქნება გაზეთის საიუბილეო საღამოზე.

მეგობრებით ვართ ძლიერნი!

**ლევან გაბიჩავა**

## 70 წლის წინ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დაარსდა

**ლევან გაბიჩავა**



სახელმწიფოთა ისტორია ძირითადად ომებმა, დაპირისპირებებმა და ამ უსიამოვნო პროცესების აღწერილობამ შემოგვინახა.

1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, მაშინდელი მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოთა ლიდერების ძალისხმევით გადაწყდა, საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციის შექმნა.

გადაწყვეტილება 1945 წლის 24 ოქტომბერს მოვიდა სისრულეში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნით.

51 სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინა ნიუ-იორკში, მანჰეტენზე მდებარეობს.

სპეციალურად ამ ორგანიზაციისათვის მილიარდერმა როკფელერმა 7 ჰექტარი მიწა შეიძინა და უსასყიდლოდ გაეროს გადასცა.

დღეს, დედამიწის ზურგზე ჭკუათმყოფელთაგან აღარავის სჭირდება იმისი განმარტება, თუ რა მიზნებსა და ამოცანებს ემსახურება გაერო.

და მაინც, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საერთაშორისო პოლიტიკური (სამშვიდობო) ორგანიზაციაა, რომელიც აფიქსირებს, აკონტროლებს და აღკვეთს ერებსა და სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილ კონფლიქტურ (სადავო) საკითხებს, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტები, სულიერი და მატერიალური ზარალი...

24 ოქტომბერს 70 წელი სრულდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნიდან.

დროის ამ მონაკვეთში გაეროს სამშვიდობო მისიებისა და ღონისძიებების შედეგად, დედამიწის ყველა კონტინენტზე მილიონობით ადამიანი გადაურჩა სიკვდილს, ტანჯვას, წამებას, არაადამიანურ მოპყრობას.

ამ ორგანიზაციის მიერ მიღებულ საერთაშორისო დოკუმენტებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია, რომლის მოთხოვნათა შესრულება და განუხრელი დაცვა გაეროს წევრი ყველა სახელმწიფოსათვის სავალდებულო და აუცილებელია.

სოციალისტური ბანაკის დაშლამ, ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლამ, ლენინური იდეებით ნასაზრდოები სახელმწიფოები ახალი დილემის წინაშე დააყენა.

მტკივნეული, რთული აღმოჩნდა ეს პროცესი პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის, რაღა თქმა უნდა, საქართველოსთვის.

სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით დონორ სახელმწიფოთა თანადგომით კი, რამდენადმე მაინც გახდა შესაძლებელი სირთულეების დაძლევა.

დიდია გაეროს როლი ეთნოკონფლიქტების დარეგულირების საკითხებში.

აფხაზეთსა და სამაჩაბლოში გასული საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული მოვლენები კიდევ უფრო მძიმე შედეგებით დამთავრდებოდა, რომ არა კონფლიქტებში გაეროს სამშვიდობო მისიის მონაწილეობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გაეროს წევრი სახელმწფოები, როგორც პარტნიორი ქვეყნები, რთულ პერიოდში ძალ-ღონეს, ენერგიას არ იშურებენ რათა ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ გასაჭირში მყოფ პოლიტიკურ, სტრატეგიულ პარტნიორებს.

2008 წლის აგვისტოს მოვლენები და ამ დროს საფრანგეთის პრეზიდენტის, ფრანგი ხალხის საქართველოსადმი თანადგომის არნახული მაგალითიც კმარა ამის ნათელსაყოფად.

საქართველოს მეორე დაბადება _ ასე შეფასდა ქართველი ერის, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ 1992 წლის 31 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 179-ე წევრად საქართველოს მიღება. ეს ფაქტი უდავოდ დიდი მიღწევა იყო ახლად დაარსებული დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფოსათვის.

გაეროს მისიები დღესაც აქტიურად იღვწიან მსოფლიოს ცხელ წერტილებში მდგომარეობის ნორმალიზაციისთვის.

24 ოქტომბერს 70 წელი სრულდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნიდან.

## გზა ლიდერებისაკენ

### "მადლობა ხალხს, სხვანაირად ამ ჯილდოს ვერ მივიღებდით"

**ნინო ნანიტაშვილი**

***რუსთაველის ქუჩაზე მდებარე № 37 სასურსათო მაღაზია კლიენტურას არც კომუნისტების დროს უჩიოდა, საქონელბრუნვა მაღალი ჰქონდა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას პირნათლად ასრულებდა. ამის შესახებ მაშინდელი სამტრედიელები, იგივე ამ მაღაზიის მომხმარებლები და თავად ობიექტის დღევანდელი მეპატრონე საუბრობენ. ავთანდილ ღაღანიძე ამაყია, როცა საქმე მისი მაღაზიის შემოსავლებსა და გასავალს ეხება. კერძოდ კი _ ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას. თვლის, რომ ამ მიმართულებით კეთილსინდისიერი მეწარმის სახელი არასოდეს შეურცხვენია.***

***"1981-1985 წლების შედეგების მიხედვით "შრომითი მამაცობისათვის" საკავშირო მედალი მივიღეთ. სიგელს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, მენთეშაშვილი აწერდა ხელს, თავმჯდომარე, კოსიგინი გახლდათ. მაშინ ეს მაღაზია ქალაქვაჭრობის ობიექტი იყო, მე გამგე ვიყავი და 5 წლის გეგმა წლინახევრით ადრე შევასრულეთ. მერე მეორე აღიარება მოვიდა _ "ღირსების ორდენი". გაგვიხარდა მიღწევები _ ამჯერად "დარგის ლიდერები" გავხდით".***

შპს ''ლელა'' 100 საწარმოს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. ამის შესახებ მას შემდეგ შევიტყვეთ, რაც ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების საზოგადოებამ კვლევის შედეგები გამოაქვეყნა.

ნბრ, იგივე ლიდერების საზოგადოება, უფრო მეტი განმარტებით: ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების საზოგადოება არის საერთაშორისო რეიტინგული ორგანიზაციების გაერთიანება საქართველოში, ბელორუსიაში, ყაზახეთში, რუსეთში, უკრაინასა და აზერბაიჯანში, რომელიც აღიარებს სხვადასხვა დარგის, კატეგორიის და საკუთრების ფორმის სუბიექტების საქმიანობის რანჟირებას. კავშირი გამოყოფს წარმატებულ საწარმოებს და ანიჭებს მათ ადგილს რეიტინგში, მათგან საუკეთესოებს კი _ ''დარგის ლიდერი 2015-ის'' წოდებას.

ბევრი სამტრედიელის და კერძოდ, შპს ''ლელას'' ერთგულ მომხმარებელთა სასიხარულოდ სავაჭრო ობიექტი ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების საზოგადოების მიერ აღიარებულ წარმატებულ საწარმოთა შორის მოხვდა.

''სამტრედიის მაცნესთვის'' ცნობილი გახდა, რომ საქართველოს საწარმოების საყოველთაო სახელმწიფო რეიტინგების შემუშავების დასრულების შესახებ 2013-2014 წლების შედეგების მიხედვით სტატისტიკური რანჟირების შედეგებით შპს ''ლელა'' იმყოფება ''78-ე'' ადგილზე (ბრინჯაო) საქართველოს ტოპ-100 საწარმოს შორის კრიტერიუმის _ ''ჯამური ადგილის'' _ მიხედვით.

მე-8 ადგილი (ვერცხლი) იმერეთის ტოპ-15 საწარმოს შორის კრიტერიუმის _ ''ჯამური ადგილის'' _ მიხედვით.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, მაკა კუტუბიძე შპს ''ლელას'' დირექტორს, ავთანდილ ღაღანიძეს სწერს, რომ მოცემული მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა მათი საქმიანობის სფეროში. ამდენად ავთანდილ ღაღანიძე, როგორც შპს ''ლელას'' მეპატრონე და დირექტორი, დაჯილდოვდა ორდენით ''ეკონომიკის ვარსკვლავი'', ნუგზარ ლეკვეიშვილი _ მედლით ''პროფესიული დამსახურებისთვის'', ეროვნული სერტიფიკატით სახელწოდებით ''წლის სპეციალისტი 2015''. ფინანსებისა და აუდიტის სფეროში _ ციალა გიორგაძე _ ბუღალტერი; კომპანიის უმაღლესი ეკონომიკური მაჩვენებლის მიღწევის ხელშეწყობისთვის, მართვის პროცესში პირადი წვლილისთვის ფინანსური ამოცა-



# “საქართველოსაგან მერაბს!”



შოთა პაპავა

***ეს სიტყვები მერაბ კოსტავას დაღუპვის ადგილზე აღმართულ სტელას ამშვენებს, ეროვნული გმირის მასშტაბებს ცხადჰყოფს. მართლაც, საქართველომ იგლოვა “ძე ქარიშხლისა”, იგლოვა ერმა... “შენი ვარ, შენთვის მოვკვდები!..”***

***2015 წლის 13 ოქტომბერს, 26 წლის შემდეგაც გადაუღებლად წვიმდა ბორითის გზაზე.***

***ავბედითი 1989.***

***ადრიანი შემოდგომა, დასავლეთიდან მომავალნი... ტრაგედიამ ქვეყანა შეძრა...***

***1991 წელი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს ხელს აწერს შავოსანი დედა, ოლღა დემურია-კოსტავა.***

“ტრადიციად გვექცა უკვე. ყოველი წლის 13 ოქტომბერი მიუხედავად ტკივილისა, ამაღლებული განწყობითაა დამუხტული. ეროვნულობა _ ამ სიტყვის ყველაზე ღრმა, ჭეშმარიტი შინაარსით, აქ, ბორითში შეიგრძნობა!” _ გვეუბნება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური.

გამოიდარა. ჯვარს ცადაზიდულს ნათლის სვეტად დაადგა მზის სხივი. მოღუშულ მთებში სიჩუმე ჩაფლულა. ხალხმრავლობაა, სამფეროვანი დროშა ფრიალებს ერთიანი საქართველოს სიმბოლოდ. მრავალჟამიერს დასძახიან ჩოხოსნები. სანთელ-საკმევლის საამო სურნელი არემარეს ედება. მიცვალებულთა სულის მოსახსენიებლად პანაშვიდი გადაიხადა დეკანოზმა მირიანმა.




“ნათელი დაუმკვიდროს უფალმა მათ, სამშობლოს კეთილდღეობის სადარაჯოზე რომ იდგნენ დღენიადაგ. “ილიელობის” მძიმე ჭაპანი იტვირთეს მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ. ბოლოხსენებული კი შემდეგი სიტყვებით გამოემშვიდობა თანამებრძოლს: “უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული სასუფეველში შეხვალ, იცოდე!” ყოველწლიურად იზრდება ახალგაზრდების რიცხვი. თითქმის ყველა კუთხიდან მოდიან. ჩვენი მისიაც ესაა, თაობებს გადავცეთ, რომ გვყავდა კაცი, კაცი _ მერაბ კოსტავა!” _ დასძინა მან.

ბატონი კობა ძიძიგურის სიტყვების პათოსმა, _ დღეს აქ მოვედი არა როგორც საჯარო მოხელე და “კონსერვატორი”, არამედ ერთი რიგითი ქართველი, მრავალთა საუბარში ჰპოვა გამოძახილი. მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე როსტომ თავაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მიხეილ ლეჟავა და სოციალური სამსახურის უფროსი ლევან ახობაძეც გახლდნენ.

ტრადიციული ქართული სამოსით სამტრედიელ ჩოხოსნებს პატარა დავით ძიძიგური უმშვენებდა გვერდს _ “კიდევაც დაიზრდებიან!..”

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა აღნიშნა: “ამაყნი ვართ მერაბ კოსტავას ქართველობით. მადლობას მოვახსენებ ჩამობრძანებულ სტუმრებს, ადგილობრივ შემოქმედებით ანსამბლს, პედაგოგებს, პრესას, ტელევიზიასა და საჯარო მოხელეებს. ერთიანი ძალებით უფრო მეტს შევძლებთ”.

ბატონმა კობამ სიტყვა საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერს,



ზვიად ძიძიგურს გადასცა: “რამდენჯერმე შევხვედრივარ ბატონ მერაბს. მახსოვს, ერთ საღამოს აქციის შემდეგ თქვა, _ ჩვენი ქვეყანა ძალიან მალე გათავისუფლდება, მაგრამ შემდეგ, მთავარ საზრუნავად დამოუკიდებლობის შენარჩუნება გვექცევაო. იმ პერიოდში საბჭოთა რეჟიმი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა და ვერავინ წარმოიდგენდა მის უეცარ ჩამოშლას. მართლაც, მერაბის წინასწარმეტყველური სიტყვები აცხადდა, ხოლო ჩვენთვის ამოცანა დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, ერთმანეთის პატივისცემის შენარჩუნებისა ჯერ კიდევ შეუსრულებელია. “ქართველები შეგვარიგე, მერაბ!” _ ზედგამოჭრილი, “კაკალ გულში” მოხვედრილია ეს პოეტური სტროფი. მერაბ კოსტავა რომ ცოცხალი ყოფილიყო, საქართველო რეალურად სრულიად სხვაგვარი იქნებოდა. რა არის ჩემი სურვილი? _ ერთი თაობა გაიზარდა 1989 წლის შემდეგ. მინდა, ჩემი შვილების თანატოლებმა დააფასონ მერაბ კოსტავა, სულით რაინდი პატრიოტი მამულიშვილი!”

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ ებანოიძე: “როგორ ქათქათებ, მერაბ, შენი შავი დღის ფონზე!” ასეთი შავი დღეები შეადგენდნენ მერაბ კოსტავას ცხოვრებას. სიმწარის მეტი არაფერი ენახა წუთისოფლისგან ტანჯულს. “ვინც რომ ხშირად იყურება ცისკენ, იმას უფრო მეტად უყვარს მიწა”, _ მერაბს საქართველოს მიწა უყვარდა, არ თმობდა მას და ძნელად ეპუებოდა უმსგავსობის იმ კორიანტელს, რაც იმდროინდელ საქართველოში ხდებოდა. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ფურცლები სისხლით იწერებოდა, მერაბისნაირი ერისკაცების სისხლით. უეჭველია, იგი მართალთა შორისაა ზეციურ სამყოფელში.

ბორითს თინათინ მღვდლიაშვილიც სტუმრობდა იმ დღეს. საქართველოზე ჯაჭვის პერანგის შემომქსოველმა პოეტესამ “შემაძრწუნებელი ბედნიერებისა” არ იყოს, კაეშნად მოახვია ლექსის საბურველი მერაბ კოსტავას ხსოვნას:

“უცებ, ცა ჩამოგვექცა თავზე, მერაბ!

წვიმამ მოგვიტანა სიკვდილის ამბავი, მერაბ!

ერისკაცი მოუკვდა საქართველოსო, მერაბ!

მერაბ კოსტავამ მიგვატოვა სამუდამოდო, მერაბ!”

მიმართავდნენ, როგორც ცოცხალს, შველას სთხოვდნენ, როგორც ზეკაცს, მაგრამ ისინი ხომ ერთ მოკვდავს იგონებდნენ; ამ მოკვდავობაშიც იყო რაღაც უჩვეულო.

---



ნებისადმი რაციონალური მიდგომისათვის”. ეროვნული სერტიფიკატი “წლის სპეციალისტი _ 2015” გადაეცა მაგდა ჩაჩუას _ გაყიდვების კონსულტანტს _ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობისთვის, პირადი წვლილისთვის, შრომის მაღალი მაჩვენებლების მიღწევაში, ამოცანების გადაჭრის დროს გამოჩენილი რაციონალური მიდგომისა და პროფესიონალიზმისათვის.

“სამტრედიის მაცნეს” სტუმრობა შპს “ლელაში” სწორედ იმ დროს დაემთხვა, როცა ავთანდილ ღაღანიძე სულ ახლახანს გარდაცვლილი ბუღალტრის, ციალა გიორგაძის კუთვნილ სერტიფიკატს მის დისშვილს, გია ცაგარეიშვილს გადასცემდა.

შპს “ლელას” დაჯილდოვებული თანამშრომლები ერთხმად აღიარებენ, რომ მათი პერსონალური ჯილდოები მთლიანი კოლექტივის დამსახურებაა.

მაგდა ჩაჩუა: “26 წელია, აქ ვმუშაობ. ეს მაღაზია ჩემი მეორე ოჯახია, შეიძლება ითქვას, აქ უფრო მეტ დროს ვატარებ. ამდენად, შპს “ლელას” გამარჯვება და პირადად ჩემი სერტიფიკატი დიდი სიამაყის განცდას მანიჭებს და სტიმულს, მომავალშიც ერთგულად და კეთილსინდისიერად ვემსახურო მომხმარებელს. ამ აღიარებას ჩემს კოლეგებს ვულოცავ, საერთო წარმატება მათ გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. განსაკუთრებით მადლობას ვუხდი ავთანდილ ღაღანიძეს. მასთან ერთად გატარებული წლები მარწმუნებს, რომ ჩვენი დირექტორი განსაკუთრებული ადამიანია”.

მარინა ბარამიძე საჩუქრების განყოფილებაში მუშაობს. 16 წელია, “ლელას” წამყვან თანამშრომლად ითვლება. მაღაზიის “დარგის ლიდერად” დასახელებას ისიც დიდი სიხარულით შეხვდა: “ამ გამარჯვებაში თითოეული ჩვენგანის წვლილს ვხედავ. მთავარი კი ხელმძღვანელია. მადლობას პირადად მას ვუხდი, ვინაიდან ამ რთულ პერიოდში თავის ობიექტში რამდენიმე ადამიანი ჰყავს დასაქმებული. ავთო ღაღანიძე ჰქმნის ისეთ ატმოსფეროს, თანამშრომლები ოჯახის წევრებივით ვიყოთ. ვულოცავ ამ აღიარებას “ლელას” მთლიან კოლექტივს. ასევე მადლობა მინდა, გადავუხადო სამტრედიელ ხალხს, ჩვენს ერთგულ მომხმარებელს სხვანაირად ამ ჯილდოს ვერ მივიღებდით”.

ნონა ჯობავა: “14 წელია ამ მაღაზიაში ვმუშაობ. ისევე როგორც, დანარჩენებისთვის, ეს ობიექტი ჩემი მეორე ოჯახიცაა. მახარებს შპს “ლელას” წინსვლა, ჩემი ხელმძღვანელობის და თანამშრომლების დაჯილდოვება. ვიცით, რომ მათ წარმატებაში მთელ კოლექტივს გარკვეული წვლილი მიგვიძღვის. მაგრამ მთავარი მაინც ავთანდილ ღაღანიძეა. სიტყვები არ მყოფნის მის დასახასიათებლად. იგი ჩვენი უფროსი კი არა, უფრო მეტად მეგობარია, ჩვენი ოჯახების ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. ღმერთმა გვიდღეგრძელოს მისი თავი, ოჯახსაც და კოლექტივსაც. ვულოცავ ყველა მათგანს ამ დიდ აღიარებას და ვისურვებდი, შპს “ლელა” მომავალშიც დარგის ლიდერი ყოფილიყოს”.

შპს “ლელა” არსებობის 25 წელს ითვლის. მანამდე ამ ადგილზე ქალაქვაჭრობის №37 მაღაზია ფუნქციონირებდა. წინა საუკუნის 90-იან წლებში ცალკე სუბიექტად ჩამოყალიბდნენ, გამოეყვნენ ქალაქვაჭრობას თავისი აქტივითა და პასივით. თავდაპირველად ერთი პირის საწარმო “ლელა” იყო. 1995 წელს ხელახალი რეგისტრაცია მოხდა და სავაჭრო ობიექტი შპს “ლელად” იწოდა.

ავთანდილ ღაღანიძე 3 ათეული წლის წინანდელ ამბავს ასე იხსენებს: “ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის დანერგვის კვალდაკვალ სამტრედიის სინამდვილეში ჩვენი მაღაზია ერთ-ერთი პირველი კომპანია იყო, რომელმაც კერძო საკუთრება შექმნა. მას შემდეგ ნელ-ნელა განვვითარდით, ჩამოყალიბდა გამართული საგადასახადო სისტემა, შეძლებისდაგვარად ვაწარმოებთ თანამედროვე აღჭურვილობას. გაიზარდა ბრუნვა, დროულად ვახდენთ ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას, რაც დაუფასებელი არ დაუტოვებია ხელისუფლებას _ 2012 წლის ზაფხულში ღირსების ორდენით დაგვაჯილდოვეს, სამი წლის შემდეგ კი “დარგის ლიდერი” გავხდით.

ეს ჩვენთვის ძალიან დიდი წამახალისებელია. გპირდებით, მომავალშიც სამაგალითოები და უფრო უკეთესები ვიქნებით”.



# "ინტელექტ-კლუბის არსებობის ისტორიაში ასეთი შედეგისთვის ჩვენს გუნდს ჯერ არ მიუღწევია"

**ნათია ნაცვლიშვილი**

***სულ ახლახან ბათუმში გამართული ჩემპიონატიდან საუკეთესო შედეგით დაბრუნდნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის ინტელექტუალთა ნაკრები გუნდის წევრები. საქართველოს მესამე ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში "ბრეინ რინგი" საქართველოს ინტელექტ-კლუბის (ხელმძღვანელი გიორგი მოსიძე) და აჭარის ინტელექტ-კლუბის (ხელმძღვანელი დავით ბაციკაძე) ორგანიზებით ა. წ. 10-11 ოქტომბერს ბათუმში, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.***

ჩემპიონატში საქართველოს ინტელექტ-კლუბის უძლიერესი შემადგენლობით დაკომპლექტებული 20 გუნდი მონაწილეობდა. ამ ჩემპიონატზე სამტრედიის ინტელექტუალთა ნაკრები გუნდი "ინტერსტელარი" შემდეგი შემადგენლობით წარსდგა: გიორგი ჩაჩუა (გუნდის კაპიტანი), ზაზა ადეიშვილი, ლევან ცირეკიძე, ვაჟა ჩიჩუა, დავით მანჯგალაძე, გიორგი ცაგარეიშვილი.

გიორგი ჩაჩუა, გუნდის კაპიტანი შთაბეჭდილებებს გვიზიარებს: "თამაშის "ბრენ რინგი" მთავარი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ აქ 2 გუნდი ეჯიბრება ერთმანეთს. შეკითხვის დასმის შემდეგ, რომელი გუნდიც მოასწრებს ღილაკზე ხელის დაჭერას და სწორად უპასუხებს, გამარჯვებაც იმ გუნდს რჩება. შესაბამისად, ეს თამაში უფრო დაძაბული და საინტერესოა, ვიდრე ჩვეულებრივი "რა? სად? როდის?"

მონაწილე გუნდები გადანაწილდნენ 4 გუნდიან ჯგუფებად. ჩვენ ჯგუფში მოვიპოვეთ ორი გამარჯვება და გუნდ "ოტობაიასთან" (კაპიტანი დიმიტრი ქიტოშვილი) ერთად გავედით პლეიოფში. პლეიოფში მეოთხედფინალში შევხდით აჭარის გუნდ "ვირუსს", რომელიც დავამარცხეთ 2 : 0, ხოლო ნახევარფინალში კენჭისყრამ შარშანდელ ჩემპიონთან, "ბოკა ხუნიორსთან" (კაპიტანი ბაჩანა შენგელია) შერკინება გვარგუნა. ამ გუნდის წევრები იყვნენ: გაგი გაბრიჭიძე, ნიკა აგლაძე, დავით ლომინაძე, თამარ შარაშენიძე. გუნდთან დაძაბულ ბრძოლაში დავმარცხდით ანგარიშით: 4 : 2. საბოლოოდ, ტურნირის გამარჯვებული გახდა გუნდი "ოტობაია".

სამტრედიელი ინტელექტუალები ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავიდნენ, რასაც ისინი საკმაოდ დიდ წარმატებად მიიჩნევენ.

"ფაქტობრივად, სამტრედიის ინტელექტ-კლუბის არსებობის ისტორიაში ასეთი შედეგისათვის ჩვენს გუნდს ჯერ არ მიუღწევია. აღსანიშნავია, რომ ჯგუფური ეტაპიდან იმერეთის რეგიონიდან მხოლოდ ჩვენი გუნდი გავიდა, რაც ასევე წარმატებაზე მიუთითებს. გულდასაწყვეტია ის, რომ ფინალშიც თავისუფლად შეგვეძლო გვეასპარეზა, თუმცა, ბაჩანა შენგელიას გამოცდილმა გუნდმა მაინც დაგვამარცხა". _ გვეუბნება სამტრედიელთა კაპიტანი.



აღსანიშნავია, ისიც, რომ ჩემპიონატი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. პირველ ადგილზე გასული გუნდის მოთამაშეებს მობილური ტელეფონები გადაეცათ, დასაჩუქრდნენ სხვადასხვა ჟანრის თანამედროვე ლიტერატურით. წიგნები საჩუქრად სამტრედიელ მოთამაშეებსაც გადასცეს. გიორგი ჩაჩუა ჩემპიონატზე გუნდის მიღწეული შედეგით კმაყოფილია და მომავალ ჩემპიონატებში შედეგის გაუმჯობესებას გვპირდება.

გუნდის სახელით ის თანადგომისთვის მადლობას უხდის სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელს ვალერიანე ფოცხვერიას, კულტურის სამსახურის ხლმძღვანელს ნატალია მანჯგალაძეს, ამავე სამსახურის მთავარ სპეციალისტს ლაშა ლორიასა და გამგებლის თანაშემწეს _ ლაშა ორმოცაძეს. "ლაშა ლორია და ლაშა ორმოცაძე ასევე არიან სამტრედიის ინტელექტ-კლუბის წევრები და ყოველგვარ დახმარებას გვიწევენ, რათა ჩვენმა გუნდმა მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ჩემპიონატში". _ გვეუბნება ბატონი გიორგი.

# "ლადი" საზოგადოება "სამტრედიელთან" არსებული ჯგუფია

**ნათია ნაცვლიშვილი**

## „თქვენ ჩვენი მარგალიტები ხართ"

საზოგადოება "სამტრედიელის" მოწმობა ორგანიზაციის თავმჯდომარე თამაზ მურღულაიამ ფოლკ-ჯგუფ "ლადის" ყველა წევრს გადასცა. "ლადი" უკვე ამ ორგანიზაციასთან არსებული ანსამბლია. ორგანიზაციის დამფუძნებელ წევრები, ექიმი თამაზ ჟორდანია და ალექსანდრე ჭანტურია ამ მიზნით სტუმრობდნენ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციას.



თამაზ მურღულაიამ "ლადის" წევრებს 2015 წლის 22 ივლისის საზოგადოება "სამტრედიელის" გამგეობის სხდომის გადაწყვეტილება გააცნო, რომლის თანახმადაც, ფოლკლორული ჯგუფი "ლადი" ითვლება ააიპ საზოგადოება "სამტრედიელთან" არსებულ ჯგუფად, რომლის შემადგენლობაშიც არიან: ჯგუფის ხელმძღვანელი, საზოგადოება "სამტრედიელის" წევრი ბეჟან გოგია, ცირა მელქაძე-კიკაჩეიშვილი და ჯგუფის წევრები: ანრი მანჯგალაძე, დავით მამასახლისი, ომარ კიკაჩეიშვილი, ირაკლი მარჯანიშვილი, რამაზ შენგელია, გია დარახველიძე, ჟანა დარახველიძე, მარიამ თევზაძე, მარიამ ტორონჯაძე და გვანცა არაბიძე. "თქვენ რომ ჩვენს მუნიციპალიტეტს ასახელებთ, ფესტივალზე, სადაც მიემგზავრებით, თან გექნებათ საზოგადოება "სამტრედიელის" მოწმობები". _ მიმართა ბატონმა თამაზმა "ლადის" წევრებს და ყოველ მათგანს წარმატებები უსურვა.

ბეჟან გოგიამ ახალგაზრდებს საზოგადოება "სამტრედიელის" წევრები წარუდგინა და განაცხადა: "ეს ადამიანები არიან ჩვენი ქალაქის მშვენება, ისეთ საზოგადოებას უდგანან სათავეში, რომლის მოღვაწეობის ძირითადი არსი ღირსეული საქმის კეთებაა, "სამტრედია" ჩემთვის და თქვენთვისაც ყველაზე ლამაზი სიტყვაა, ჩვენ ვართ სამტრედიელები და უნდა გავამართლოთ ამ ქალაქისა და მისი მოსახლეობის, ამ ადამიანების ნდობა, ასევე ჩვენი ხელისუფლებისა და ოჯახებისა. მადლობა ვუთხრათ ამ ადამიანებს".

თამაზ ჟორდანიამ ახალგაზრდებს მიმართა: "ჩვენს ქალაქში დღეს გვაკლია სიყვარული, ურთიერთპატივისცემა და გაღიმებული სახეები. გიყვარდეთ ერთმანეთი და პატივი ეცით ყველას, თქვენთან რომ მოვდიოდი, ყველას ვუთხარი, რომ მოვდიოდი უნიჭიერეს ახალგაზრდებთან. ჩვენთვის საპატიო და საამაყოა თქვენთან ურთიერთობა. თქვენმა ხელმძღვანელმა, ბრწყინვალე პიროვნებამ, ბეჟან გოგიამ თავისი ნიჭიერებით მიაღწია ყველაფერს. ის არის მხატვარი, მელომანი, მის მიერ შესრულებული ჩვენი ქალაქის გერბი ისტორიას დარჩება, ასევე საზოგადოება "სამტრედიელის" გერბიც. რამდენჯერმე მოგისმინეთ ბავშვებო და აღფრთოვანებული ვარ, თქვენზე პატარა იყო ბატონი ბეჟანი, როცა ინსტრუმენტები აიღო ხელში, მე ვამაყობ იმით, რომ ის ჩემი უახლოესი მეგობარია. მას არასოდეს უთქვამს ტყუილი, გილოცავთ ბავშვებო, თქვენ ჩვენი მარგალიტები ხართ, ჩვენმა უხუცესმა წევრმა, ბატონმა ბორის ფოცხვერაშვილმა დიდი მოკითხვა შემოგითვალათ და წარმატებები გისურვათ".



შემდეგ "ლადის" სიმღერებმა იმდენად აუმაღლეს განწყობა სტუმრებს, თამაზ ჟორდანიამ ცრემლები ვერ დამალა. ეს ემოცია სიმღერამ "სამტრედია" განსაკუთრებულად გაუმძაფრა მათ. ბატონი თამაზ მურღულაია, შორეულ წარსულს იგონებდა, როცა შესანიშნავმა კომპოზიტორმა დავით თორაძემ და პოეტმა პეტრე გრუზინსკიმ სამტრედიაზე სიმღერის შესაქმნელად მის ოჯახში რამდენიმე დღით დაიდეს ბინა. ასე შეიქმნა სამტრედიის 100 წლის იუბილის აღსანიშნავად უკვდავი სიმღერა "სამტრედიაზე", რომელიც ამჟამად "ლადის" რეპერტუარშია.

ფოლკ-ჯგუფი "ლადი" 19-დან 25 ოქტომბრის ჩათვლით კავკასიის ფესტივალების საერთაშორისო ასოციაცია ევროპის საერთაშორისო ასოციაციასთან ერთად, ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გამართულ ფესტივალ-კონკურსში "არწივები კავკასიიდან" ღებულობს მონაწილეობას. შემდეგ ანსამბლი გერმანიის დედაქალაქ ბერლინში გადაინაცვლებს და ქართული დიასპორისა და სტუმრებისათვის საქველმოქმედო კონცერტს გამართავს. ამის შემდეგ ავსტრიის დედაქალაქ ვენას ესტუმრებიან.

სულ რაღაც 7 თვის ისტორიის მქონე ჯგუფისათვის ევროპულ სარბიელზე გასვლა უკვე დიდი წარმატებაა.

კიდევ არაერთი დიდი მწვერვალები დაგელაშქროთ "ლადის" წევრებო, ზურგის ქარი გვისურვებია!

# სიგნალი არ არის!

იყო დრო, როდესაც ცისფერ ეკრანად მონათლული ჯადოსნური ყუთი უბანში ერთეულებს ჰქონდათ მხოლოდ და მთელი სამეზობლო ტელევიზორების იმ ბედნიერ მფლობელებთან ვიკრიბებოდით ფეხბურთის, კალათბურთის, საინფორმაციო გადაცემათა თუ ფილმების საყურებლად. იყო უზომო გაოცება და სამყაროს ახლებურად აღქმის ამოუწურავი შესაძლებლობა.

ნელ-ნელა ტელევიზორი არც ისე ხელმიუწვდომელ ფუფუნების საგნად იქცა და ოჯახი არ მოიპოვებოდა საქართველოში, მინიმუმ, ერთი ტელევიზორი მაინც რომ არ ჰქონოდა. დიდი სიკეთისა და სიხარულის მომტანია აუცილებელი ნივთი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. სამყარო დაპატარავდა. ახლა ყველას შეეძლო საკუთარი სახლიდან გაუსვლელად ტელევიზორის წინ კომფორტულად მოკალათებულს ედევნებინა თვალი მსოფლიოში მომხდარი კატაკლიზმებისათვს, კოსმოსის ათვისების დაუჯერებელი კადრებისათვის, ახალი სპექტაკლებისა თუ ფილმებისათვის, ათასგვარი შემეცნებითი და გასართობი პროგრამებისთვის. ეგ კია, რომ ამის შემდეგ ადამიანებს სულ უფრო და უფრო ნაკლები დრო რჩებოდათ ერთმანეთთან შესახვედრად და მხოლოდ მეორე დილით, სასწავლებელში თუ სამსახურში მიმავალნი, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ვუზიარებდით ერთმანეთს შთაბეჭდილებებს ღამით ნანახ გადაცემებზე.

იყო დრო თეატრისა და კინოს აღმავლობისა, სპორტისა და მეცნიერების ზეობისა, იყო დრო აკაკი ხორავასი, აკაკი ვასაძის, ეროსი მანჯგალაძისა, რამაზ ჩხიკვაძისა, კოტე მახარაძისა, დრო ვერიკოსი, სესილიასი, სოფიკოსი და სხვათა და სხვათა. იყო შენება, მშვენება, აღმავლობა და სიცოცხლის ზეიმი. ქართველს ქართველი უყვარდა. სატელევიზიო დებატებში მონაწილენი თუ ერთმანეთს უნებლიედ სიტყვას შეაწყვეტინებდნენ, უმალ ბოდიშსაც მოიხდიდნენ. ერთმანეთის აზრს აფასებდნენ და პატივს სცემდნენ. არ იყო ლანძღვა-გინება. ქვეყანა შენდებოდა, ყველას თავისი პროფესია და სიამაყე გააჩნდა იმ ქვეყნის შვილობისა, რომელსაც საქართველო ჰქვია. მაგრამ, როგორც სულმნათი აკაკი იტყოდა, "ხანგრძლივ ეს ქვეყანა გაახარებს ვისმე განა?" ქვეყნის მოღალატე ჩინოვნიკებმა და მმართველი ელიტის მოსყიდულმა უმრავლესობამ, მათში ერთ-ერთი ჩვენი გორისაც რომ ერია, მთელი კავშირის მასშტაბით შეძლეს სეპარატიზმის გაღვივება. დაიწყო ქვეყნის დაშლა-დანაწევრება. თევზმა თავით იწყო ლპობა. ნარკოტიკებით გაბრუებულ ახალგაზრდებს იარაღი აასხეს და ერთმანეთს სამტროდ მიუსიეს. იყო კოშმარი, ძარცვა, რბევა, მკვლელობები, მკვლელობები, მკვლელობები, შენიღბული თავისუფლების სახელით. უმოწყალოდ წყდებოდა საქართველოს საუკეთესო გენოფონდი.

"გათიშე და იბატონე". გაგვთიშეს და ბატონობენ სუსტებზე ძლიერი სახელმწიფოები, დემოკრატიის მამები, ყოველივე იმ უბედურების შემოქმედნი. რაც ჩვენს თავზე ვიწვნიეთ და მაინც მათ ვაღიარებთ ქვეყნის განვითარების ხვალინდელი დღის სწორ ორიენტირად.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი თავისი სასიხარულო თუ ტრაგიკული შედეგებით უწყვეტად შუქდებოდა ქართული პრესითა და ტელევიზიით. მადლობა მათ ამისთვის. ხალხს დაუფარავად მიეწოდებოდა ჟურნალისტის მიერ ხანდახან საკუთარი სიცოცხლის ფასად მოპოვებული ინფორმაცია. მაგრამ, სამწუხაროდ, ტელეეთერმა დაჰკარგა უამრავი სასიკეთო აღმზრდელობითი და შემეცნებითი გადაცემა. ჟურნალისტიკა გახდა აგრესიული. ოპონენტები პირდაპირ ეთერში შოუს დგამენ და ლანძღვა-გინების გარდა მუშტი-კრივითაც ართობენ ტელეაუდიტორიას. ქართული კინო სულს ღაფავს, არ იდგმება და არ შუქდება სპექტაკლები. ეკრანი წალეკა მექსიკურ, ბრაზილიურ, თურქულმა ყოვლად უაზრო და დაუსრულებელმა სერიალებმა, რომლებიც ყველა მისაღები თუ მიუღებელი მეთოდით ცდილობენ უზნეობის პროპაგანდას.

მაგრამ ტელევიზია მაინც არის იმედის მომტანი ჯადოსნური ყუთი. არსებობს კატეგორია ადამიანებისა, ძირითადად ინვალიდები და საწოლსმიჯაჭვულები, რომელთათვის გარესამყაროსთან ურთიერთობის ერთადერთ საშუალებად ტელეეკრანი რჩება. დამეთანხმებით ალბათ, რომ ასეთი კატეგორიის ადამიანები, ჩვენდა სავალალოდ, საკმაოდ ბევრნი არიან ჩვენს რეალობაში. უკეთესი სამაუწყებლო საშუალებებით (როგორც რეკლამას უკეთებენ) აღჭურვილი ციფრული მაუწყებლობა კი სანახევროდ გათიშულია. გამოსახულება გადაცემის მიმდინარეობის პროცესში უეცრად შეშდება და კედელზე მისხმული საღებავივით ბლანტად ჩამოიღვენთება ხოლმე. ტელევიზორი უსარგებლო, ნერვების მომშლელ ნივთად იქცა. "იმედზე" გადართავ _ არ არის სიგნალი, "რუსთავი 2"-ზე გადართავ _ არ არის სიგნალი, სხვა არხებზე _ არ არის სიგნალი, არ არის სიგნალი, არ არის სიგნალი!

არა, ბატონებო, ეგებ სწორედ ეგ არის სიგნალი, რომ როგორმე გამოვიღვიძოთ და ვიკითხოთ:

**გაგვაგებინეთ რა ხდება?**

არ არის ნდობა და ერთურთის გატანა,
არ არის ერთობა, ხარხარებს სატანა.
არ არის ხელფასი, სიმშვიდეც არ არი,
სულ უფრო მძაფრდება ეშმაკის ხარხარი.
არ არის ლხინი და არ არის გართობა,
ვის უკვირს კაცი თუ ჯავრისგან დათვრება?
არ არის სიგნალი, ციალი ეკრანის,
წინსვლა და პროგრესი თუ გინდათ ეგ არის.
არ არის ნატვრათა ახდენის რწმენა და
სულ უფრო იზრდება ჯავრი და წყენა და
არ არის სიგნალი! ბნელია ეკრანი,
გიჟთათავისუფლების ფინალიც ეგ არი.

**აკაკი რუხაძე**

# შენ ბიბლიური იაკობივით ეჭიდებოდი უსამართლობას

ლევან გაბეჩავა

იაკობმა მოგვცა წიგნი... მაღლა ცაში ასაფრენად. ასე უმღეროდნენ და უმღერიან თაობები ძია იაკობს _ იაკობ გოგებაშვილს, უკვდავი "დედაენის" ავტორს.

სვებედნიერი აღმოჩნდა საქართველოსთვის მე-19 საუკუნე.

ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, ნიკო ნიკოლაძე... სწორედ ამ საუკუნეში მოევლინენ ქვეყანას.

1840 წელი, ოქტომბერი, სოფელ ვარიანში დაიბადა იაკობ გოგებაშვილი. ფასდაუდებელია ამ დამაშვრალი მამულიშვილის ღვაწლი ქართველი ერის წინაშე.

სხვა რომ არაფერი ეკეთებინა, მარტო "დედაენა" იკმარებდა მის სადიდებლად, უკვდავსაყოფად.



ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მოღვაწეობას იაკობმა მთელი ენერგია მოახმარა, მერე კი უმდიდრესი ბიბლიოთეკა და პირადი არქივი სწორედ ამ საზოგადოებას გადასცა საჩუქრად, რითაც კიდევ ერთხელ მოიხადა ვალი ქართველი ხალხის, ახალგაზრდების წინაშე.

გაუხარელი ცხოვრება ჰქონდა.

72 წელი იცოცხლა, კუბოში დაკერილი ფეხსაცმელი სცმია თურმე...

1976 წელს სრულიად საქართველომ დიდი ზეიმით აღნიშნა "დედაენის" 100 წლის იუბილე.

1876 წელს დიდი იაკობის მიერ შედგენილი ეს წიგნი ქართველი ერის ძვირფასი საგანძურია.

175 წელი სრულდება ამ დღეებში იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან.

### წლები გასულან

თუმცა ქალბატონზე, ვისზეც ამჯერად ვწერთ, ვერაფერი დაუკლია, გამოცდილება კი უხვად მიუცია.

სრულიად ახალგაზრდა იყო ქალბატონი იამზე კუტალაძე, როცა დაბა კულაშის კონსტანტინე მკურნალის სახელობის საშუალო სკოლაში დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა.

ვინც იცის, რამდენ თაობას შეასწავლა ანა-ბანა იამზე მასწავლებელმა. ძნელია იმ წარმატებულ მოსწავლეთა ჩამოთვლაც, ქალბატონმა იამზემ რომ შეასწავლა, აზიარა თავანკარა ქართულს.

კულაშის საჯარო სკოლა ღირსეულ ტრადიციებს დღესაც აგრძელებს და იამზე მასწავლებელსაც საკუთარი წვლილი შეაქვს სკოლის წარმატებებში.

ამ დღეებში ქართველმა პედაგოგებმა პროფესიული დღე იზეიმეს.

დაგვიანებით, პატივისცემით ვულოცავთ კულაშის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების უკვე ღვაწლმოსილ პედაგოგს, იამზე კუტალაძეს მასწავლებლის დღეს.

წარმატებებს ვუსურვებთ კეთილშობილურ საქმიანობაში.



# "მასწავლებელო, მასწავლებლობას გმირობად მითვლის ერი"

ნათია ნაცვლიშვილი

***მასწავლებლის დღე 5 ოქტომბერია. იმ სიყვარულის საზღაურად, სხვისი შვილებისთვის რომ გასცემს ყოველდღე მასწავლებელი, № 1 სკოლელებმა ლამაზი ღონისძიება მოაწყვეს. ზრუნვად, ფიქრად, გარჯად დაღვრილი მასწავლებელი იმსახურებს იმას, წელიწადში ერთხელ მაინც მოეფერონ მოსწავლეებმა და უთხრან მადლობა გაწეული ამაგისთვის.***

***სკოლის ეზოში მოსწავლეებმა ცეკვა "ხორუმი" შეასრულეს. მერე წითელ ხალიჩაზე ჯერ სტუმრები და პედაგოგები გაატარეს, ბოლოს თავად გაიარეს და საგანგებოდ მორთულ-მოკაზმულ დარბაზში ქართული სიმღერის, ცეკვის, ლექსის ცეცხლი დაანთეს.***

მონაწილენი პირველი საფეხურის მოსწავლეები იყვნენ, ღონისძიება დაწყებითების კათედრის ხელმძღვანელმა ქეთევან როხვაძემ მოამზადა, მას ცეკვის პედაგოგები ჟორა პაქსაშვილი და თინათინ დუნდუა დაეხმარნენ. წამყვანებმა, მე-4 კლასელებმა: ალექსანდრე კიკაჩეიშვილმა და ნინო ნიკოლეიშვილმა სკოლის ტრადიციებზე ისაუბრეს, სახელოვანი პედაგოგები დააფასეს, შემდეგ თავიანთ პედაგოგებს მიულოცეს პედაგოგის დღე. "გისმენთ და გვიყვარხართ, რადგან იმ ღირებულებებს გვაზიარებთ, რომლებიც სულს გვიმაღლებს, ცოდნას გვიღრმავებს, თქვენ ჩვენი განუზომელი სიყვარული ხართ, თქვენი შრომის და გარჯის წყალობით გზას ცხოვრებაში სიკეთით ვიგნებთ. ადამიანობის საზომად ჩემი ნებისმიერი გამზრდელი შემეძლო ამერჩია". _ გულწრფელები იყვნენ პატარები.



ფორტეპიანოსთან მუსიკის პედაგოგი, სოფიო ახობაძეა, პატარებმა შეასრულეს ბიძინა კვერნაძის, რევაზ ლაღიძის, თემურ მჟავიას და უცხოელ კომპოზიტორთა სიმღერები. ამ სკოლის ჰიმნი კი, რომლის ავტორიც სოფიკო მასწავლებელია, ხოლო ტექსტისა _ მადონა თარგამაძე, უკვე გასცდა ჩვენი ქალაქის ფარგლებს და არაერთხელ მის გარეთაც გაიჟღერა. "ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით" _ ახლაც ემოციურად შეასრულეს პატარებმა. თავად სოფიკო მასწავლებელმა დარბაზს სკოლის დევიზად ქცეული სიტყვები შეახსენა: "პირველების პირველობა არის ჩვენი ამბიცია, ჩვენ, პირველებს პირველობა არავისთვის დაგვითმია".

დაგვპირდნენ პატარები, რომ ღირსეულ ინჟინრებად, იურისტებად, ექიმებად, პედაგოგებად... დაუბრუნდებიან ქალაქს. არ შეარცხვენენ პედაგოგებს, ნდობას გაუმართლებენ.

სკოლის დირექტორმა, ხათუნა ფაილაძემ არც კი იცოდა, თუ ამდენ კარგ უნარს ფლობდნენ მისი თანამშრომლები. ქეთევან როხვაძემ შესანიშნავად შეასრულა "ცოტა კიდევ მოითმინე გულო", ინგლისურის პედაგოგმა მარინა ბოკუჩავამ _ "მიმღერე რამე", დაწყებითების პედაგოგმა, ნონა ჯინჭარაძემ თავის მოსწავლეებს უმღერა, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა პედაგოგმა, კლავდია ბულკათმა რუსული სიმღერა შეასრულა. მის ჰანგებს პედაგოგები ცეკვითაც აჰყვნენ. ბოლოს ფოიერვერკი და... თბილი ემოცია ფოტოისტორიად ქცეული... ისტორიის პედაგოგი ნათია ქარჩილაძე კი ლექსის დიდოსტატად წარმოჩნდა მსმენელის წინაშე...

საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი, პედაგოგი, ალექსანდრე თევზაძე: "მივულოცავ პედაგოგებს პროფესიულ დღესასწაულს. მასწავლებლის, მოძღვრის პროფესია ღვთისაგან კურთხეულია. ამაზე უკეთესი რა უნდა ინატრო ადამიანმა, რომელიც ამ სფეროს ირჩევს. საქართველოში უნდა იყოს მასწავლებელი დაფასებული საზოგადოებისაგან, იმ ადამიანებისგან, ვისაც ის ემსახურება. მივესალმები, თუ ეს დაფასება მატერიალურადაც უკეთესად იქნება გამოხატული... ამ სკოლაში არაერთი ლამაზი ღონისძიება გამართულა, ახლაც მე-12 საჯარო სკოლასთან ერთად სამტრედიის № 1 საჯარო სკოლამ ღირსეულად წარმოაჩინა თავი და აღნიშნა მასწავლებლის დღე. მადლობა ამ სკოლებს. კიდევ ბევრ წარმატებას გისურვებთ".

საკუთარ პედაგოგებს კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა სკოლის დირექტორმა, ხათუნა ფაილაძემ: "გილოცავთ ყველას, ჩემს ერთგულ, მშრომელ, უანგარო, ნიჭიერ, კრეატიულ კოლექტივს, არ არის ეპითეტი, თქვენს შესამკობად რომ არ მემეტებოდეს. დიდი მადლობა მინდა ქეთინო მასწავლებელს ვუთხრა ამ ლამაზი დღისათვის, ასე ერთად რომ შეგვყარა და მოგვაფერა ერთმანეთს. მადლობა ბავშვებს".









# გულწრფელად თავსმოხვეული სიყვარულისთვის

თეა ბაბუნაშვილი

***მადლობა ორიგინალურად თქვეს, უთხრეს მათ, ვისაც ყოველთვის, ყოველ წუთს ეკუთვნის სამადლობელი. არა მარტო მოსწავლეების, თავად მასწავლებლების თაოსნობითაც შედგა ეს ღონისძიება, რამეთუ თავადაც გაიხსენეს მოსწავლეობის წლები პედაგოგებმა, დღეს რომ გაკვეთილებს უტარებენ მათ, ვინც ხვალ ჩახედავს სასწავლო ჟურნალს და სიას ამოიკითხავს.***

***საუკუნეზე უხნესი მე-12 საჯარო სკოლის აღსაზრდელებმა და აღზრდილებმა ღონისძიება მასწავლებლის დღეს მიუძღვნეს. სასიამოვნოდ დამუხტულ დარბაზს ცოტა ხნით დაავიწყეს ყოველდღიური საზრუნავი. თავს სიყვარული ყველას მოახვიეს, ყველას აკმარეს გულწრფელი გრძნობა.***

მშობლიურ სკოლასთან ახლოს, საგანგებოდ მორთულ დარბაზში მოსწავლეებთან ერთად შეიკრიბნენ ყოფილები და ახლანდელები, პედაგოგები, ვინც საკუთარი მხრებით დღემდე მოიტანა სკოლის წარსული და სასახელოდ აგრძელებს ესტაფეტას. ლექსი, სიმღერა და ლაღი ცეკვა ერთმანეთს სცვლიდა ამაღლებული განწყობის შესაქმნელად. აღნიშნეს კიდეც, რომ მსოფლიოს ასზე მეტ სახელმწიფოში მასწავლებლის დღე ხუთ ნოემბერს აღინიშნება. ვის ჩამორჩებოდნენ და, მე-12 საჯაროც მათ რიგებშია, ვისაც ეზეიმება 1994 წელს იუნესკოსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მასწავლებლის დღედ გამოცხადებული ეს თარიღი.

სიმბოლური იყო ისიც, რომ ღონისძიება ამავე სკოლის პედაგოგს, ნინო ონიანს და მეთორმეტეკლასელს, შოთა პაპავას ერთად მიჰყავდათ. "ალბათ, ხშირად გსმენიათ ფრაზა, ყველაზე დიდი ინვესტიცია მომავალი თაობის აღზრდაში უნდა ჩადო, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ მომავალი თაობის განათლება ქვეყნის უზრუნველყოფილი მომავლის ტოლფასია. ეს შეუძლებელი იქნებოდა იმ ადამიანების გარეშე, რომლებიც დროს და ენერგიას, გულს და სულს არ იშურებენ, თავიანთი ცოდნა ახალგაზრდებს უწილადონ." _ ეს გახლავთ სიტყვები იმ ღონისძიებიდან. იქვე ისიც ითქვა, რომ "სამწუხაროდ, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, მასწავლებლობა ყველაზე არასასურველი პროფესიაა, რადგან რეალურად სწორედ განათლება გახლავთ ყველაზე დაბალანაზღაურებადი სფერო საქართველოში."

ოვაციები ხვდათ წილად მოწვეულ სკოლის ყოფილ პედაგოგებს. მათაც დიდი სიყვარულით გაიხსენეს რაიონის ისტორიის ნაწილად ქცეული სკოლის წარსული. როგორც აღმოჩნდა, მე-12 საჯარო სკოლის არაერთი მასწავლებელი და დირექტორიც კი, ამ კედლებში აღზრდილები ყოფილან. ამიტომ არა მხოლოდ კულტურულად მიმართვის გამო, ისინიც მასწავლებლებად მოიხსენიებდნენ ყოფილ პედაგოგებს. ერთ სუფრასთან თავმოყრილთ თაიგულები სკოლის სახელით შოთა პაპავამ გადასცა. ქიმიის მასწავლებელმა ნონო ონიანმა კი, ყოფილ პედაგოგ ჟორა კეშელავასთან ერთად "დაისიც" შეასრულა. "ნაბზარი რაა, ყველა შენი ნაკაწრიც მტკივა-ო", უთქვამს პოეტს და ვიცით, ჩვენო საყვარელო პედაგოგებო, საპატიო და ძვირფასო სტუმრებო, როგორ გაღელვებთ, როგორ გახარებთ ყველაფერი, რაც ამ თბილსა და საყვარელ შენობას უკავშირდება." _ ითქვა მათი მისამართით. ისინი კი, სკოლის ყოფილი პედაგოგები, დიდი სითბოთი იგონებდნენ წლებს, ამ შენობის ძველთაძველ კედლებში გატარებულთ და ცხადად წერდნენ მის ისტორიას.

პატივი მიაგეს გარდაცვლილ პედაგოგთა ხსოვნას.

ხელისუფლების წარმომადგენლების, სტუმრების, ყოფილი კურსდამთავრებულების კეთილი სურვილები სამომავლო წარმატებებზე მრავლად იყო. სამადლობელი სიტყვა კი დირექტორმა, ხათუნა თელიამ წარმოსთქვა. საკუთარი პედკოლექტივის სახელით პირობა დადო: "კვლავ არ შევარცხვენთ პედაგოგის ღირსეულ სახელს, არ დავაძველებთ სასახელო ტრადიციებს. კარგი მოსწავლეებით ვიამაყებთ, რათა მათ კარგი პედაგოგებით თავმოწონების საბაბი მივცეთ. ბევრი ჩვენგანის მშობლიური სკოლაა მე-12 საჯარო და ამიტომაც, ჩვენი ბავშვობის ლამაზი წლებივით გვეამაყება, გვიხარია და გვენატრება იგი მუდამდღე.







გვიყვარს მოსწავლეობის გახსენებასავით და ისე, როგორც მაშინ, მოსწავლეობის დროს, გპირდებით, ჩვენო ძვირფასო მასწავლებლებო, არ შეგარცხვენთ!"

თანამედროვეობამ სხვადასხვა ეფექტებით საკუთარი ხიბლი შესძინა სანახაობას. სცენაზე ერთმანეთის გვერდიგვერდ ასრულებდნენ საკონცერტო ნომრებს მოსწავლეები, მათი პედაგოგები და მანდატურები. ცაში ათასფრად აჭრილი ფეიერვერკი იმ დღის კულმინაცია გახლდათ, რომელსაც მოსწავლეების და აქედან გამომდინარე საკუთარი წარმატებები, ასახდენ ოცნებებადააყოლეს მასწავლებლებმა. მერე კი კვლავ ერთმანეთის მოფერებით გაგრძელდა საღამო. თუმცა, ეს მხოლოდ ერთი დღე გახლდათ განსაკუთრებული ელფერით, თორემ ყოველდღიურობა მოსწავლისა და მასწავლებლის საუკუნოვანი ურთიერთსიყვარულით გრძელდება მე-12 საჯარო სკოლაში, ჩვეულ კალაპოტს მიუყვება სწავლასა და შრომაში გამოჩენილი სიბეჯითით, ურთიერთსიყვარულითა და პატივისცემით, ბავშვური უდარდელობით, ჟრიამულით... და ასე დიდხანს გასტანს, რადგან აქ იციან მასწავლებლის ამაგის ფასიც და მოსწავლის სიყვარულიც. ასე ასწავლეს აქაურ მასწავლებლებს საკუთარმა მასწავლებლებმა. ყველგან ასეა, სადაც "მწვრთნელი უყვართ", მიღწევები არ ელევათ და მე-12 საჯაროც გამონაკლისი რითია ვითომ?!

### მე ვტიროდი

*ვუძღვნი ნინი ჩირგაძეს*

მე ვტიროდი გაზაფხულზე
მოვარდნილი წვიმებით,
ალმოდებულ განთიადის
უსაზღვრო ნაპირებით,
და ვფიქრობდი ციდან ცაზე
რომ დაჰქრიან ღრუბლები,
სიხარულის კიდობანზე
შენს სულს დავუბრუნდები.
და ვტიროდი სიყვარულის
ცრემლის ნაკადულებით,
ანთებული გაზაფხულის
თვალჟუჟუნა იებით.
და ვფიქრობდი, ფიქრთა შორის
სურვილი რომ იალებს,
გულს შეიპყრობს განცდა ტრფობის,
სულს რომ აამზიანებს.
რომ მეხილა გაზაფხული
გაზაფხულის ფერებით,
დამელოცა წრფელი გული
ფიქრით მონაფერებით.

დავით ჩირგაძე

### მტრედის ქროლვა

ულრანსა ტყეში ნიავივით დაჰქრის
ქათქათა მტრედი,
უკან, მდუმარედ, მას ეკიდება
შავი აჩრდილი.
მტრედო თილისმავ, მიეც შენს ქროლვას
ნაზი კამარა,
და შენი ფიქრნი არ ჩაძირო
უძირო ტბაში.
შავი მტრედი კი, ტბის პირას მყოფი,
მას ელოდება,
უძირო თვალნი ხარბად უცქერს
ცისა ვარსკვლავებს,
იფრინე მტრედო, შენი ქროლვა
უსასრულოა და...
ოცნება შენი არ ჩაძირო
უძირო ტბაში...
წამი ჩერდება, როცა ეტრფი
შავ მტრედს ფიალით,
ალი ვნებისა უძირო ტბაში
ჩაიკარგება,
განვლილი გზა კი ლაბირინთად
გადაიქცევა...
გაფრინდი, მტრედო, როგორც ქროლვა
გაელვებაში.

ნათელა სტურუა

### ვენახო ჩემო!

გიხდება ძლიერ აბრეშუმის სამოსი მწვანე
და თავდახრილი ქარვისფერი მტევანი ცრემლის,
წამოიშლება საიდანღაც ფიქრები მწარე
და არ მასვენებს ხმა შენს ფესვზე დაკრული ცელის.

როგორ დავმალო სილამაზე ძვირფასი ჩითის,
როგორ გიშველო, რა ვიღონო, ვენახო ჩემო,
დავიწყებულა, საიდან ვართ გორით და ჯიშით,
იქ, სადაც ყველა პირველობას თავისას ჩემობს.

ნავენახარზე ამოსულა ბალახი უხვად,
გადავლილია გლეხის გულზე ბორბალი ბედის,
შემომცქერიან ფრთაგაშლილი ეკლები ურცხვად
და ყაყაჩოებს ამათ გამო სინდისი ქენჯნის.

მაყვალა ჩირგაძე

# ანზორ მაჩიტიძის მემორიალი საჭადრაკო კალენდარში ადგილს დაისაკუთრებს

ნინო ნანიტაშვილი

***სამტრედიის მუნიციპალიტეტში საფუძველი ჩაეყარა ანზორ მაჩიტიძის მემორიალს ჭადრაკში.***

***სამტრედიელებისთვის ეს სახელი და გვარი კარგად არის ცნობილი. 4 ათეულ წელზე მეტი ანზორ მაჩიტიძე სამტრედიელი მოზარდი თაობის სპორტის ამ სახეობაში აღზრდას ემსახურებოდა. ჭადრაკის მწვრთნელს სხვადასხვა წლებში აღზრდილი ჰყავს ისეთი ცნობილი მოჭადრაკეები, როგორებიც არიან: საერთაშორისო დიდოსტატები დავით ჯოჯუა, სოფიკო ტერელაძე და მსოფლიო ჩემპიონი მერი არაბიძე.***

***ანზორ მაჩიტიძის მოღვაწეობის პერიოდში სამტრედია საჭადრაკო რუკაზე გამოირჩეოდა საკავშირო და რესპუბლიკური ტურნირების სიმრავლით და ეს ტრადიცია დღესაც რომ გრძელდება, მისივე აღზრდილი მოსწავლეების დამსახურებაა. კერძოდ, ანზორ მაჩიტიძის ყოფილი შეგირდები დღეს მწვრთნელ-მასწავლებლები არიან. მათ შორის გახლავთ ბესო ლეჟავა და ნინო ჯვარშეიშვილი, რომლებიც აქტიურად ეწევიან სამწვრთნელო მოღვაწეობას. ისინი ასევე სასახელოდ აგრძელებენ ტურნირების ორგანიზებას, რომელშიც ანზორ მაჩიტიძეს ბადალი არ ჰყავდა.***

ანზორ მაჩიტიძის საჭადრაკო სკოლა აქვს გავლილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს. კობა ძიძიგური იმავდროულად არის სამტრედიის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე. სწორედ ამ ადამიანების ინიციატივითა და ძალისხმევით ჩაეყარა საფუძველი ანზორ მაჩიტიძის სახელობის მემორიალს, რომელიც 8 ოქტომბერს დაიწყო და 12 ოქტომბერს საზეიმო ვითარებაში დაიხურა.

რესპუბლიკური მასშტაბის ტურნირში 15 ქალაქის 8 წლიდან 12 წლამდე 140 მოზარდი მონაწილეობდა. ტურნირს მსაჯობდა ფოთის არბიტრი ალეკო არსენიძე. ტურნირმა სამ ასაკობრივ ჯგუფში გამარჯვებულები გამოავლინა: 8 წლამდე გოგონათა შორის პირველი ადგილი ქუთაისელმა ბარბარე ცირეკიძემ დაიკავა. მეორე ადგილი – სამტრედიელმა ლიკა ხუჭუამ (მწვრთნელი ნინო ჯვარშეიშვილი), მესამე ადგილი – ბარბარე მიქიაშვილი (ქუთაისი).

8 წლამდე ვაჟთა შორის პირველ ადგილზე გავიდა კახაბერ კიზირია (ფოთი), მეორე ადგილზე – სატრედიელი მარიამ გოთოშია (მწვრთნელი ბესო ლეჟავა). ცნობისათვის, მარიამი ვაჟთა შორის თამაშობდა და იგი უახლოეს დღეებში მსოფლიო პირველობაზე საბერძნეთში მიემგზავრება. მესამე ადგილი დაიკავა ზუგდიდელმა მიხეილ სიჭინავამ.

10 წლამდე გოგონათა შორის პირველი ადგილი – რუსუდან მაღლაკელიძე (ბაღდათი), მეორე ადგილი – ელენე წოწონავა (ფოთი), მესამე ადგილი – ლილე გუმბერიძე (ბაღდათი).

10 წლამდე ჭაბუკები: პირველი ადგილი – ჯაბა ადამია (ბაღდათი), მეორე ადგილი – აკაკი ყალიჩავა (ფოთი), მესამე ადგილი – ერეკლე ჯიშკარიანი (ხონი).

12 წლამდე გოგონათა შორის: პირველი ადგილი – თამარ გაბრიაძე (ქუთაისი), მეორე ადგილი – ეკატერინე ბეჭვაია (ზუგდიდი), მესამე ადგილი – ანა კვიკვინია (ზუგდიდი).

12 წლამდე ჭაბუკები: პირველი ადგილი – გიგა გოდერძიშვილი (ქარელი), მეორე ადგილი – დავით ცქიფურიშვილი (ტყიბული), მესამე ადგილი – გიორგი ნაყოფია (ზუგდიდი).

ტურნირს ხელმძღვანელობდა ანზორ მაჩიტიძის ქალიშვილი ჭადრაკის მწვრთნელ-მასწავლებელი მაკა მაჩიტიძე. დაჯილდოვების ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე, მისი მოადგილე ზურაბ მიქაძე, მსოფლიო ჩემპიონი მერი არაბიძე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა.

ადგილობრივმა თვითმმართველობამ წელს კეთილი ნება გამოიჩინა და რესპუბლიკური ტურნირის დაფინანსება უზრუნველყო. ითქვა, რომ ანზორ მაჩიტიძის მემორიალი ტრადიციულ სახეს მიიღებს, რესპუბლიკურ საჭადრაკო კალენდარში ადგილს დაისაკუთრებს.

მაკა ანზორ მაჩიტიძის ერთ-ერთი ქალიშვილია. მან მამის პროფესია აირჩია, თბილისში მოღვაწეობს, რამდენიმე სკოლაში ჭადრაკს ასწავლის და ამავე დროს არის მწვრთნელ-მასწავლებელი. მისი ოცნება ასრულდა. სამტრედიაში საფუძველი ჩაეყარა ანზორ მაჩიტიძის მემორიალს: ''მამა ნამდვილად გაცოცხლდა. შეუძლებელია იმ ემოციის გადმოცემა, რასაც განვიცდი. ბედნიერი ვარ, თუნდაც იმ 15 წლის შემდეგ ეს ყველაფერი შედგა. რამდენჯერმე მქონდა მცდელობა, მემორიალს საფუძველი ჩაყროდა. სამწუხაროდ, მაშინ ამას ვერ მივაღწიე. მადლობა ღმერთს, სამტრედიის ახლანდელმა ხელმძღვანელობამ გულთან მიიტანა, კერძოდ, კობა ძიძიგურმა, რომელიც მთელი არსით გადაერთო ანზორ მაჩიტიძის ხსოვნის საპატივცემულოდ რესპუბლიკური ტურნირი ჩატარებულიყო. ჩემი მცდელობა მარტო არ იყო საკმარისი. არ შემიძლია ალეკო არსენიძე არ ვახსენო. ამ იდეის შესახებ პირველად მას ვუთხარი. ყველაფერში დამეხმარა, რაც ევალებოდა თუ არ ევალებოდა. ამისთვის დიდი მადლობა მას, ასევე ბავშვებს, მათ მწვრთნელებს, იგივე მამას მეგობრებს. ჩვენ დაახლოებით 100 ბავშვს ველოდით, მაგრამ მივიღეთ 140-მდე. ჩემი ოჯახის ყველა წევრის სახელით სამტრედიის მუნიციპალიტეტს ვუხდი მადლობას''.

ტურნირის დახურვას დაესწრო და იქ შეკრებილ საზოგადოებას მიმართა გია გიორგაძემ, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა: ''ქართულ საჭადრაკო რუკაზე აინთო სამტრედიის წერტილი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, სამტრედიაში ტურნირები იმართებოდა. მე მასში ვღებულობდი მონაწილეობას. ჩემი პირველი გამარჯვება საერთაშორისო ტურნირებში მოხდა სამტრედიაში, ''სპარტაკის'' ტურნირი ტარდებოდა. მე მინდა ყველა მონაწილეს, მსაჯს მივულოცო დღევანდელი დღე და ძალიან მიხარია, რომ ეს ბატონ ანზორის სახელთან არის დაკავშირებული. ადამიანთან, რომელმაც ძალიან ბევრი გააკეთა ბავშვთა საჭადრაკო სკოლის აღორძინებისათვის. ბევრი მოჭადრაკე, მწვრთნელი აღზარდა. მიხარია, რომ ასეთი ამაგდარი ადამიანის სახელი კვლავ იქნება ჩვენს საჭადრაკო ისტორიაში. ჩვენ ამ ტურნირს შევიტანთ საჭადრაკო კალენდარში. ორივე მხარის ძალისხმევა იქნება: ადგილობრივ ხელისუფლებას ფედერაცია მხარში დაგიდგებით. თუმცა რაიონის როლი გადამწყვეტი იქნება, ტურნირმა ტრადიციულის სახე რომ მიიღოს.

ანზორ მაჩიტიძის მემორიალს ოთხი დღის განმავლობაში თვალს ადევნებდა ალეკო არსენიძე, ტურნირის მთავარი მსაჯი: ''ჭადრაკის ფედერაციის კალენდარში ოფიციალურად შევიტანეთ ეს საჭადრაკო ღონისძიება. მომავალში მისი გამართვა დამოკიდებულია ადგილობრივ მუნიციპალიტეტზე. იმედი მაქვს, გაისად უფრო მასშტაბური ტურნირი გაიმართება, უფრო მეტი თანხა იქნება გათვალისწინებული ღონისძიების ჩასატარებლად. წელს ნამდვილად არ ველოდი მონაწილეთა ასეთ რაოდენობას. როგორც ხედავთ, დიდი ინტერესი მოჰყვა ანზორ მაჩიტიძის სახელობის მემორიალს.

თამაშები მიმდინარეობს შვეიცარული სისტემით. შევამცირეთ დღეთა რაოდენობა. დღეში ორმა ტურმა გაამართლა. მადლობა მინდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობას გადავუხადო. ბიუჯეტში თანხა არ იყო გათვალისწინებული, მათ გამონახეს საშუალება, თანხა მოძიებული იქნა და ტურნირიც შედგა.

აქვე მინდა, აღვნიშნო სამტრედიის ჭადრაკის ფედერაციის ინტერესი და წვდომა. კობა ძიძიგური პროცესებში აქტიურად იყო ჩართული და ასევე მაკა მაჩიტიძე, ანზორ მაჩიტიძის ქალიშვილი, რომელიც ტურნირის დირექტორი გახლდათ. მისი დიდი შრომაა, ეს ტურნირი შემდგარიყო.

ყველა სამტრედიელს ვულოცავ იმ ტრადიციის აღდგენას, რასაც წლების განმავლობაში ანზორ მაჩიტიძე თვითონ ეწეოდა სამტრედიაში. დღეს რომ ვხვდებით ცნობილ მოჭადრაკეებს, თბილისისა და ქუთაისის შემდეგ სამტრედიაში ჩატარებულ ტურნირებს იხსენებენ. ის არა მარტო კარგი ორგანიზატორი, არამედ კარგი მწვრთნელი და ადამიანი იყო. მან აღმოაჩინა მერი არაბიძე, რომელიც არის მოქმედი ჩემპიონი. დავით ჯოჯუა, რომელიც დღეს საერთაშორისო დიდოსტატია, ქალთა ნაკრების მწვრთნელი და კაპიტანი. ასევე შეიძლება ითქვას სოფიო ტერელაძეზე, რომელიც საერთაშორისო დიდოსტატი გახლავთ. ამ ადამიანების აღმოჩენა ანზორ მაჩიტიძის პიროვნებასთან არის დაკავშირებული''.

''ძალიან მიხარია, რომ სამტრედიაში ამ ტურნირს ჩაეყარა საფუძველი. იმედი მაქვს, მომავალშიც გაგრძელდება და უფრო მასშტაბური გახდება. რაც შეეხება ჩემს ანზორ მაჩიტიძესთან ურთიერთობას, იგი ჩემი პირველი მასწავლებელი იყო. მან შემაყვარა ჭადრაკი. მიწინასწარმეტყველებდა მსოფლიო ჩემპიონობას. ასაკობრივ კატეგორიებში მართლაც გავხდი ჩემპიონი. ვფიქრობ მას სხვა მსოფლიო ჩემპიონობა ჰქონდა მხედველობაში. შევეცდები, რომ მომავალში მისი ეს სურვილიც შევასრულო''. – განაცხადა მერი არაბიძემ, რომელიც სხვებთან ერთად ანზორ მაჩიტიძის მემორიალის დახურვას დაესწრო.









# წარსულის ფურცლებიდან



№ 1 სამრეწველო მაღაზიის ქსოვილებისა და შეკერილი ტანსაცმლების სექციონერ-გამყიდველი მ. ბუ-... თავაზიანად ემსახურება მომხმარებლებს. მის სექციაში მუდამაა ყველა ასორტიმენტის საქონელი. მიმდი-... წლის ექვსი თვის საქონელბრუნვის გეგმის გადამეტებით შესრულებისა და მომხმარებელთა კულტურული ...ხურებისათვის სექვაჭრობის სამტრედიის განყოფილების ხელმძღვანელობამ მას ახლახან გარდამავალი წითელი ...ოშა „საუკეთესო მომსახურების ბრიგადას" გადასცა.

ხ უ რ ა თ ზ ე: მ. ბუაძე მუშაობისას.

## წერილები რედაქციას

### ვიზრუნოთ სოფლის კეთილმოწყობისათვის

სოფელ ნაფალაურის კეთილმოწყობას ნაკლები ყურადღება ექცევა. მისასვლელ და შიდა გზებზე წვიმის დროს წყალ-ტალახი დგება და გავლა ძნელდება. გაუწმენდავია მოსახლეობის წინ გაჭრილი წყალგამტარი თხრილები. ეს განსაკუთრებით ითქმის გ. ქანთარიას სახლიდან ა. ქანთარიას სახლამდე. ასევე კეთილმოუწყობელია ნაჩხეტაურის კოლმეურნეობის ყოფილი კანტორიდან რკინიგზის ნაჩხეტაურის გადასასვლელამდე მდებარე გზა.

სოფლის ცენტრში, რკინიგზასთან ახლოს, სადაც ნაფალაურის სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობის შენობა-ნაგებობებია, დანიშნულია ადგილობრივი და საგარეუბნო მატარებლების გაჩერება. ზამთრის გრაფიკის მიხედვით აქ ჩერდება ორი წყვილი მატარებელი, ხოლო ზაფხულის გრაფიკის მიხედვით — სამი წყვილი მატარებელი, რომლებიც დღედალამ ასზე მეტ მგზავრს უწევენ მომსახურებას.

მაგრამ მარტო ეს ხომ არ კმარა. მგზავრთა კულტურული მომსახურებისათვის საჭიროა აშენდეს ბაქანი, რათა ხალხს შეეძლოს მატარებლებში წესიერად შესვლა და იქედან უსაშიშროდ ჩამოსვლა, ამასთან საჭიროა აიგოს მგზავრთა თავშესაფარი ფარდული.

ნაფალაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა, ამავე სოფლის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ და ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებამ ამ მდგომარეობას ყურადღება უნდა მიაქციონ.

გ. ფორჩხიძე.

### ავტომანქანები ყურადღების გარეშე

ბაშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას სათვალავით ოთხი ავტომანქანა და ერთი მოტოციკლი ჰყავს, აქედან მხოლოდ სამი მანქანა მუშაობს, დანარჩენი არაწესიერი ექსპლოატაციისა და უყურადღებობის შედეგად მწყობრიდანაა გამოსული. კოლმეურნეობამ, მიუხედავად გამგეობის არაერთგზის დადგენილებისა, დღემდე ვერ მოახერხა გარაჟის აგება.

სავალალო მდგომარეობაშია საწყობის მტვერში უპატრონოდ მიგდებული მოტოციკლი, რომელსაც მხოლოდ 200-მდე კილომეტრი აქვს გავლილი. იქვე, კოლმეურნეობის ყოფილი კანტორის ეზოში, დგას ძველი, გულგამოფატრული ავტომანქანა. ეს უკანასკნელი ხანდაზმულობის გამო აღარავის ედარდება.

ავტომანქანების მოვლა-პატრონობის საქმეში აღნიშნულ ნაკლოვანებებს კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტორგანიზაციამ გულდამშვიდებით არ უნდა უცქირონ.

ხ. კაშმაძე.

### ამთავრებენ გზების რემონტს

დადგა მოსავლის მასიურად აღების დაწყების დრო. გამოჩინებულის სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობები მასიურად არემონტებენ გზებს— სოფლიდან სოფლამდე და კოლმეურნეობების საყანე ფართობებამდე. მახარაძისა და კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობებმა (თავმჯდომარეები დ. გოგიტაძე და ეპ. ძიგუა) უკვე დაამთავრეს გზების რემონტი. ამ დღეებში დაამთავრებს საყანეზე მისასვლელი გზებისა და ხიდ-ბოგირების რემონტს ამავე სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრება".

ლ. ცხვარაძე

### შემაჯამებელ მეცადინეობაზე

## მსმენელთა აქტივობით

გასულ წელს გორმაღლის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასთან შეიქმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე, რომელშიც ნებაყოფლობითი პრინციპის საფუძველზე გაერთიანდნენ კომუნისტები და კომკავშირელები. სასწავლო წლის პერიოდში წრეს ენერგიულად ხელმძღვანელობდა პროპაგანდისტი ა. თევზაძე.

და აი, 25 მაისს, წრის მსმენელები შემაჯამებელ მეცადინეობაზე შეიკრიბნენ. მეცადინეობა დანიშნულ დროზე ორგანიზებულად დაიწყო. პროპაგანდისტის მიერ მოხდენილად დაყენებულმა კითხვებმა განაპირობა წრის მსმენელთა აქტივობა.

კითხვაზე: „1905 წლის რევოლუცია, მისი დამარცხების მიზეზები და გაკვეთილები"— ამომწურავი პასუხი გასცა მსმენელმა ვ. მხილაძემ. ასევე ღრმად გააშუქა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებისა და მისი მიმდინარეობის საკითხი მსმენელმა ნ. ზაქარეიშვილმა. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხებზე მეექვსე ხუთწლედში საქმის ცოდნით ილაპარაკა წრის მსმენელმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. თევდორაძემ.

ასევე გავლილი მასალის საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნეს შემაჯამებელ მეცადინეობაზე დანარჩენმა მსმენელებმაც.

ა. სანაკოევი.

★



რკინიგზის სამტრედიის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ბევრი მასწავლებელი დამოუკიდებლად სწავლობს ჩვენი პარტიის სახელოვან ისტორიას.

ხ უ რ ა თ ზ ე: მასწავლებლები ლ. ქავზინაძე (მარცხნივ) და რ. ჯანიაშვილი ემზადებიან შემაჯამებელი მეცადინეობისათვის.

ფოტო გ. ათაბეგოვისა.

### 28 მარტს

მზე უკვე კარგა ამოსული იყო, მაგრამ ფერმის მიდამოებში ადამიანთა ჭაჭანება არ ჩანდა. მეცხოველეებს თავი მოეყარათ კედლებშექვარტლულ, ობობაქსელდახლართულ ვიწრო ოთახში და სოფლიდან ახლად ჩამოსული ელიზბარი გუშინდელ სუფრაზე გაწეული დარდიმანდობით ართობდა დამსწრეთ. მეცხოველეობის ფერმის სადგომი კი 10 საათისათვის სიბინძურისაგან გაუწმენდავი იყო.

ფერმაში შექმნილ ქაოტურ მდგომარეობაზე მეტყველებს ისიც, რომ აქ მოუწესრიგებელია აღრიცხვა, რომელსაც ზოოტექნიკოსი უნდა აწარმოებდეს, მაგრამ ზოოტექნიკოსი არა ჰყავთ. ეს საქმე მიანდვეს ვეტექიმ ა. წეროძეს, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ამ საქმეს უგულებელყოფს.

ფერმაში მოუწყობელია საკოლმეურნეო აფთიაქი, პირველი დახმარებისათვის არ გააჩნიათ საჭირო მედიკამენტები. მთელ ფერმაში აქვთ მხოლოდ ერთი და ისიც უსუფთაო საწველი ვედრო, 146 სული პირუტყვის გასასუფთავებლად კი—ერთი სამურველი და ჯაგრისი, ძროხების ცურის საწმენდად არ გააჩნიათ ტილოები. ფერმაში მექანიზაციის დანერგვაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ჩალას ჭრიან წალდით, საჭრელი მანქანა კი უქმად უდგიათ. მოუწყობელია აგრეთვე სახბორე და სამშობიარო ბინა. აღსანიშნავია, რომ ფერმაში არა აქვთ შრომის განაწესი. ამის გამო ირღვევა საერთო შრომის რეჟიმი.

საჯავახოელმა მეცხოველეებმა ჟ. მუქერიას მუშაობის გამოცდილება თავიანთ საქმიანობაში ფართოდ უნდა დანერგონ და უსწრაფესად აღმოფხვრან ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში გააჩნიათ.

პ. ლიპირიდი,
რაიონის მთავარი ვეტექიმი.
შ. სიხარულიძე,
ლ. მუძერია,
„წინსვლის" სპეც. კორესპონდენტები.



# ქართული ჭადრაკის ისტორია

აღმოსავლეთი, კერძოდ, ინდოეთი, ჭადრაკის სამშობლოა. იგი ჩაისახა ჩვენი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში და სულ მალე 100-150 წლის განმავლობაში გავრცელდა ირანში, ჩინეთში, არაბეთში. არაბებმა არა მარტო ფართო პოპულარობა მოუპოვეს ჭადრაკს თავიანთ ტომებში, არამედ თეორიულადაც დაასაბუთეს იგი, დაამუშავეს მისი სადებიუტო საწყისები, შემოიღეს და განავითარეს საჭადრაკო კომპოზიცია. ისინი უკვე მე-8 საუკუნეში აწყობდნენ უძლიერეს მოთამაშეთა საჭადრაკო მატჩებს და ტურნირებს.

ირანში მას "ჩატრანგს", არაბეთში _ "შატრანჟს", სომხეთში _ "სატრანჟს", საქართველოში კი _ "ჭადრაკს" უწოდებენ. ჭადრაკის ძველმა და ახალმა მკვლევარებმა ბევრი რამ გააკეთეს ჭადრაკის ისტორიის დადგენისა და მიგრაციის შესწავლის საქმეში, მაგრამ რატომღაც ყურადღების გარეშე დარჩა ჭადრაკის პირველ აკვანთან ტერიტორიულად ისე დაახლოებული ქვეყნები, როგორებიც საქართველო და სომხეთია. შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ საქართველო, რომელსაც ადრიდანვე კავშირი ჰქონდა ინდოეთთან, ირანთან და არაბეთთან, არ იცნობდა ამ ხალხში ესოდენ გავრცელებულ თამაშს? რა თქმა უნდა, არ შეიძლება! პირიქით, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ქართველი ხალხი იცნობდა ჭადრაკს ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე საქართველოში არაბები შემოიჭრებოდნენ.

ქართველ ხალხში გავრცელებული იყო ჭადრაკიდან მომდინარე ისეთი გამოთქმები და ანდაზები, როგორებიც არის: "ღმერთმა დაგაშამათოს", "ჩემი საქმე ჭადრაკულადაა". ვინ იცის, რომელ საუკუნეში წარმოიშვა ეს თქმები! საჭადრაკო მოტივებს ვხედავთ მეფე არჩილ მეორეს შრომებში. საიდუმლოებით მოცულია ჭადრაკის განმარტება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც, სადაც ნათქვამია: "ჭადრაკი _ სამორინო გრიგოლის ცხოვრებაში".

რაც შეეხება ჭადრაკის მატერიალურ ძეგლებს, ისინი ჯერ კიდევ მრავალი წლის წინათ სრულიად მიუკვლეველი და უცნობი იყო.

სიმღერა-ჰიმნით ადამიანი მიესალმება თავის ღვთაებას _ მზეს. განუყრელად იყო დაკავშირებული ზეიმობასთან, თამაშთან და ამიტომაც ძველად ქართველები ჭადრაკის თამაშს, ჭადრაკით გართობას უწოდებდნენ სიმღერას.

მე-10 საუკუნეში ქართველებს არა მარტო შესანიშნავად სცოდნიათ ჭადრაკის თამაში, იგი ყოფილა მათი საყვარელი სახალხო, მასობრივი გართობა. ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ჭადრაკის თამაში შემოვიდა საქართველოში ბევრად უფრო ადრე _ მე-10 საუკუნემდე. რომ ეს ასეა, ამის მეორე დადასტურებას ჩვენ ვპოულობთ მე-11 საუკუნის ლიტერატურულ ძეგლში _ ფახრ-დინის სპარსული რომანის ქართულ თარგმანში "ვისრამიანში". როცა ქართველი მთარგმნელი თარგმნის იმ ადგილებს, სადაც ჭადრაკის თამაშზეა ლაპარაკი, ან სპარსულ გამოთქმას _ "წავიდა ის დრო, როცა სპილო ჰკლავდა ორ ეტლს, ხმარობს არა ირანულს, არამედ საკუთარ, ქართულ საჭადრაკო ტერმინოლოგიას, უწოდებს რა შახმატს ჭადრაკს, სპილოს _ კუს, ხოლო ეტლს _ შარუხს. საჭადრაკო ეტლს, მრავალი საუკუნის მანძილზე, სხვადასხვა დროს ოთხი სახელწოდება ჰქონდა: ინდოეთში მას უწოდებდნენ ეტლს, ირანში, შუა აზიის ტომებში _ რაშს, ხოლო დასავლეთ ევროპაში _ ტურს.

რაც შეეხება დღევანდელ საჭადრაკო სკოლას, ის ჩემი აზრით, არ იმყოფება სავალალო მდგომარეობაში და კვლავაც იბრძოლებს მაღალი მწვერვალების დასაპყრობად.

**ირაკლი გრიგოლია**

# კალათბურთში მხოლოდ 4 გუნდი





ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის ხელმძღვანელობა ყოველთვის მაქსიმალურად ცდილობს გამოიყენოს კლიმატური პირობები და ღია მოედნებზე შესაძლებელი სპორტული სახეობების ჩატარება ადრეულად დაგეგმოს. ამჯერად, ქალაქის საჯარო სკოლებში შესარჩევი შეჯიბრება მინი ფეხბურთში 2002-2003 წლებში დაბადებულმა მოსწავლე კალათბურთელებმა ჩაანაცვლეს. ტურნირი 5-6 ოქტომბერს კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე განთავსებულ ღია საკალათბურთო მოედანზე ჩატარდა და მასში ქალაქის № 3, № 11, № 12 და მელაურის საჯარო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, საჯარო სკოლების იმ რაოდენობიდან, რომელიც რაიონში ფუნქციონირებს, ღონისძიებაში მხოლოდ 4 სკოლის მონაწილეობა ძალზე მცირეა. მინდა თხოვნით მივმართო ყველა საჯარო სკოლის ხელმძღვანელს და სპორტის მასწავლებლებს: ახალგაზრდობას ნუ მოაკლებენ იმ სიამოვნებას და აუცილებელი სპორტული სრულყოფის პროცესებს, რაც შეიძლება, მათ ფიზიკურმა კულტურამ მისცეს.

მიუხედავად გუნდების რაოდენობის სიმცირისა, ღონისძიება მაინც ჩატარდა და კენჭისყრის შემდეგ დაიწყო შეხვედრები წრიული სისტემით ერთ წრედ. შეჯიბრებაში თავიდანვე გამოიკვეთა ქალაქის № 11 საჯარო სკოლის უპირატესობა. მათ სამივე შეხვედრაში წარმატებას მიაღწიეს და 6 ქულით საპატიო პირველი ადგილი დაიკავეს (სპორტის მასწავლებლები: მანანა ტყეშელაშვილი და გელა ცინცაძე), მეორე ადგილზე მელაურის საჯარო სკოლის კალათბურთელები გავიდნენ (მასწავლებელი ეკატერინე ისლენტიევა-ბანძავა), ხოლო მესამე ადგილი ქალაქის № 3 საჯარო სკოლის გუნდს ხვდა წილად (მასწავლებლები: გივი პაპავა და თენგიზ ქობულია).

საპრიზო ადგილებზე გამოსული საჯარო სკოლის გუნდები დაჯილდოვდნენ კომპლექსური სპორტული სკოლის შესაბამისი ხარისხის სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით. სიგელითა და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა აგრეთვე ნომინაციაში "საუკეთესო კალათბურთელი" მელაურის საჯარო სკოლის მოსწავლე გოგონა მარიამ გოგიბერიძე და № 11 საჯარო სკოლის მოსწავლე გიორგი შენგელია.

**რამაზ თელია**
**კომპლექსური სპორტული სკოლის კოორდინატორი**

## დაუვიწყარი ინტერვიუ

რატომ დაინტერესდით ჩემი პერსონით? _ მოკრძალებით მკითხა ბატონმა დათომ, როცა ინტერვიუ ვთხოვე. წარმატებული ახალგაზრდა ხართ, ორ ქალაქში მუშაობთ თქვენი პროფესიით, ხელოვნებას ემსახურებით, ამას გარდა, ახალგაზრდებისგან დაცლილ სოფელსაც არ ტოვებთ და აძლიერებთ. თქვენზე აუცილებლად დავწერ _ დავპირდი სულ რაღაც 1 თვის წინ. ჩვენი საუბარი სოფელ ბაშში, სასოფლო კლუბების გაერთიანებული ღონისძიების ბოლოს შედგა.

დათო ჩვენი მუნიციპალიტეტის ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის, ღირსეული ქართველის, წესიერი და ალალ-მართალი კაცის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უხუცესი დეპუტატის, ტარიელ თევზაძის შვილი იყო. ვისაც ბატონ ტარიელთან ურთიერთობა ჰქონია, უთუოდ დამეთანხმება, რომ ის არის ადამიანი-დღესასწაული.

დათოს ტრაგიკული სიკვდილის ამბავმა სოფელი ოფეთი ცოდვით აადუღა. საღსალამათი ვაჟკაცი დააკლდა ახალგაზრდებისაგან ისედაც დაცლილ სოფელს. მხარი ჩამოუგდო მამას, ძმას, მეგობრებს. სისხლი გაეყინა უბედურ დედას. მისმა გოდებამ შესძრა სოფელი. _ რატომ პირიქით არ მოხდა, რატომ შენ არ გამაცილე იმქვეყნიურ საქართველოში. _ გოდებდა დედა და არსთაგამრიგის წყეულ განაჩენს ვერ ეგუებოდა...

ვერ იძალა დათოს ცისკარმა, ვერ იზაფხულმა მისმა ზაფხულმა... "მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა? თაფლში ურევს მწარე ნაღველს, მტრისას მისი გამოცანა" _ აკაკის ეს დიდებული სიტყვებიღა დაგვრჩენია სანუგეშებლად, როცა კარგი ახალგაზრდების ამქვეყნიდან წასვლის ამბავს გავიგებთ ხოლმე.

"პრინცმა ჰამლეტმა არ იცოდა, რომ უარესი ტანჯვაა, როცა მამა ელის აჩრდილს შვილისას!" _ ეს შვილმკვდარი მამის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ ლექსად ამოთქმული ტკივილია. პოეზიაზე უსაზღვროდ შეყვარებული ბატონი ტარიელ თევზაძეც ამ ტვირთის და ტკივილის თანაზიარია.

**ნათია ნაცვლიშვილი**

## სენსაციური აღმოჩენა: ლიმონი კიბოს 100-ჯერ ეფექტურად ებრძვის, ვიდრე ქიმიოთერაპია!

ლიმონი რომ საოცარი პროდუქტი იყო, ეს ყველამ ისედაც ვიცოდით, მაგრამ ის, რომ, თურმე, ციტრუსი კიბოს უჯრედებსაც კლავს და ის 100-ჯერ ძლიერი მოქმედებისაა, ვიდრე ქიმიოთერაპია, დღემდე არავინ იცოდა.

რატომ არ ვიცოდით ამის შესახებ აქამდე? იმიტომ, რომ არსებობს ლაბორატორიები, რომლებიც დაინტერესებულები არიან სინთეთიკური პრეპარატების წარმოებასა და რეალიზებაში, რასაც მათთვის უზარმაზარი შემოსავალი მოაქვს.

ახლა თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ ახლობელს, რომელიც უკურნებელი სენით იტანჯება და გააგებინოთ ამ უნიკალური ბუნებრივი საშუალების შესახებ. _ წერს ბალტიმორის მედიცინის მეცნიერებათა ინსტიტუტი.

ლიმონი სასწაულებრივად მოქმედებს ყველანაირ კისტოზურ თუ სიმსივნურ წარმონაქმნზე. უკვე დამტკიცებულია, რომ ეს ციტრუსი ყველანაირი კიბოს უჯრედის წინააღმდეგ მოქმედი უნიკალური საშუალებაა. ზოგიერთი მედიკოსი ამტკიცებს, რომ ლიმონი ყველა ტიპის სიმსივნურ წარმონაქმნს ებრძვის.

ამ ინფორმაციის წყარო, ბალტიმორის მედიცინის მეცნიერებათა ინსტიტუტის მონაცემები ასეთია: 20-ზე მეტმა ლაბორატორიულმა კვლევამ, რომელიც 1970 წლიდან ტარდება, აჩვენა, რომ: ლიმონი ანადგურებს 12 სახეობის ავთვისებიან უჯრედს, რომელიც სხვადასხვა ორგანოზე ჩნდება: მკერდზე, პროსტატაზე, ფილტვებსა და კუჭქვეშა ჯირკვალზე... გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ლიმონი 10 000-ჯერ ეფექტურია, ვიდრე პრეპარატი Adriamycin, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით გამოიყენება ქიმიოთერაპიაში და რომელიც კიბოს უჯრედის განვითარებას აფერხებს.

და კიდევ უფრო საოცარი რამ: ლიმონის თერაპია მხოლოდ ავთვისებიან უჯრედებს კლავს, ხოლო ჯანმრთელ უჯრედებს არ ეხება.

ლიმონის წვენი აბსოლუტურად უვნებელია და მისი მიღებით არანაირ მკურნალობას არ შეეშლება ხელი. გაუზიარეთ ეს პოსტი ყველას _ მოვსინჯოთ, იქნებ მართლაც დავამარცხოთ საუკუნის ეს სენი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამგებლის წარმომადგენელი სოფელ გამოჩინებულში, ბატონი

**გოჩა ქორიძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონი

**გოჩა ქორიძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს მარინა თევზაძეს მეუღლის

**სოსო კვინიკაძის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ბაჭა პაპავას

**სიძის**

გარდაცვალების გამო.

## როგორ მოვუაროთ სამზარეულოს ჭურჭელს

იმ შემთხვევაში, თუ სწორად მოუვლით თქვენს სამზარეულოს ჭურჭელს, იგი გაცილ-ებით დიდი ხნით შეინარჩუნებს პირვანდელ ბზინვარებასა და სილამაზეს.

დაიმახსოვრეთ:

1. თუჯის ჭურჭელი გაცილებით დიდხანს გაგიძლებთ, თუ გარეცხვის შემდეგ მას არ გაამშრალებთ სამზარეულოს ნაჭრით. უმჯობესია დადგათ იგი დაბალ ცეცხლზე, რათა წყალი აორთქლდეს და ქაღალდის ხელსახოცების დახმარებით წაუსვათ მცენარეული ზეთი.



2. არ გამოიყენოთ კოროზიით დაზიანებული ჭურჭელი მჟავე საკვების მოსამზადებლად. ასეთი პროდუქტების მომზადება უმჯობესია უჟანგავი მეტალისა და მიხრუკვის საწინააღმდეგო ფენის მქონე ჭურჭელში.

3. იმისათვის, რომ სპილენძის ჭურჭელს დაუბრუნოთ ბზინვარება, გაწმინდეთ იგი მარილისა და ძმრის ნაზავით (პროპორციას 2:1). შემდეგ გარეცხეთ იგი სუფთა წყლით და გაამშრალეთ ბამბის ხელსახოცით.

4. თუ უჟანგავი ფოლადის ჭურჭელზე დარჩა მოთეთრო კვალი წყლისგან, გაწმინდეთ იგი მშრალი საკვები სოდით, მსუბუქი ნაჭრის დახმარებით, ტექსტურული ფოლადის მიმართულებით. გამოავლეთ და გაწმინდეთ ნაჭრით.

5. ემალირებული ჭურჭელი ექსპლუატაციის წინ მაღალ ტემპერატურაზე გაახურეთ. ამისთვის, გაავსეთ იგი პირთამდე, დაუმატეთ სუფრის მარილი (1 ლიტრზე საჭიროა 2 ს/კ) და მიიყვანეთ დუღილამდე. გააგრილეთ და გადაღვარეთ სითხე.

## ჯანსაღი სადღესასწაულო სუფრის 6 წესი

დღესასწაულები მხოლოდ სიხარული, მხიარულება, მეგობრებთან შეხვედრა, საჩუქრები, უქმეები კი არა... სადღესასწაულო სუფრაცაა, რომელიც რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, ჩვენს უმრავლესობას ბევრ უსიამოვნებას გადაჰყრის ხოლმე. სიმძიმის გრძნობა, მუცლის შებერილობა, კუჭის წვა, ზედმეტი წონა, ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, გამონაყარი _ ეს ყველაფერი ქეიფის აუცილებელი ატრიბუტი ხდება და ხშირად ლხინის სიხარულიც უკვალოდ ქრება.

დღეს იმაზე ვისაუბრებთ, თუ როგორ გავხადოთ სადღესასწაულო სუფრა ''ჯანსაღი'', ხოლო კერძები _ უფრო მსუბუქი და ნაკლებკალორიული. თან ეს ისე უნდა მოხერხდეს, რომ ცვლილებები სტუმრებისთვის შეუმჩნეველი დარჩეს:

1. კერძების მოსამზადებლად გამოიყენეთ უჯრედისის შემცველი ბევრი პროდუქტი: ასეთი საკვები ძალიან სწრაფად ბადებს დანაყრების შეგრძნებას მცირე ულუფების შემთხვევაშიც.



ა) მაგიდაზე მთლიანმარცვლებიანი ან ქატოს პური დადეთ.

ბ) გამოიყენეთ მეტი მწვანილი, ბოსტნეული და ხილი.

გ) შეარჩიეთ ისეთი რეცეპტები, რომლებშიც ჩართულია ლობიო, ნიგოზი ან თხილი, მზესუმზირა.

2. შეცვალეთ კონსერვირებული მაღაზიის წვენი კომპოტით ან მორსით (წიწიქურა): წვენში და წვენის შემცველ სასმელებში ბევრი შაქარია. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მათში შაქრის შემცველობა 250-გრამიან შეფუთვაში ხანდახან 6 ჩაის კოვზ შაქარს აღწევს. ამიტომ მათში საკმაოდ ბევრი კალორიაა. ასე მაგალითად, 1 ლიტრ ყურძნის წვენში _ დაახლოებით 100, ხოლო ვაშლის წვენში _ დაახლოებით 900. თანაც წვენების უმეტესობა მადას აძლიერებს. სახლის მორსისა და კომპოტის შაქრიანობა კი შეგიძლიათ თავად განსაზღვროთ. სასმელის გემოს გაუმჯობესება ლიმონის წვენითა და ახალი პიტნის ერთი პატარა ღეროთი შეიძლება.

3. შეარჩიეთ ისეთი რეცეპტები, რომლებშიც არაა საჭირო ინგრედიენტების შეწვა: მომზადების ყველაზე სასარგებლო ხერხია ორთქლზე მომზადება ან მოხრაწვა.

4. ინგრედიენტების შერჩევისას, განცალკავებული კვების პრინციპები გაითვალისწინეთ. ამ პრინციპის მომხრეები თვლიან, რომ როცა კუჭში ერთმანეთთან შეუთავსებელი პროდუქტი ხვდება, მათი გადამუშავება რთულდება. ზოგისთვის ეს საკმაოდ სადავო საკითხია, თუმცა სიმართლის მარცვალი მასში უეჭველად არის.

სხვადასხვა პროდუქტის თავსებადობა:

ერთმანეთს არ აურიოთ: პური, კარტოფილი, ბარდა, ბანანი, ფინიკი, სხვა ნახშირწყლებიანი პროდუქტი და ლიმონი, ფორთოხალი, გრეიფრუტი, ანანასი, პომიდორი და სხვა მჟავე ხილი.

ერთმანეთს არ აურიოთ: პური, მარცვლოვანი, კარტოფილი, ნამცხვრები, ტკბილი ხილი და ა. შ. არ უნდა შეერიოს ნიგოზს, ყველი და სხვა ცილოვანი საკვები.

ერთმანეთს არ აურიოთ: ნიგოზი და ხორცი, კვერცხი და ხორცი, ან ყველი და თხილი, ყველი და კვერცხი და ა. შ.

ერთმანეთს არ აურიოთ ნაღები, ნაღების კარაქი, მცენარეული ზეთი ხორცს, კვერცხს, ყველს, ნიგოზსა და სხვა ცილებს.

არ აურიოთ ფორთოხალი, ლიმონი, პომიდორი, ანანასი და მისი მსგავსი ხორცს, კვერცხს, ყველსა და ნიგოზს.

ჟელე, ჯემი, ხილის ნაღების კარაქი, შაქარი, თაფლი, სიროფები, ბადაგი და მისი მსგავსი პურზე ან მარცვლოვანთან, კარტოფილთან ერთად, ასევე შაქარი მარცვლოვანთან ერთად იწვევს დუღილს.

არ შეიძლება ნესვის სხვა საკვებთან ერთად ჭამა.

რძე ან ცალკე უნდა მიირთვათ, ან არ მიირთვათ საერთოდ.

5. აარჩიეთ დაბალკალორიული დესერტები ცხიმის ნაკლები შემცველობით. ეს შეიძლება იყოს მარმელადი, ზეფირი, უცხიმო ნაყინი, ხაჭოები, იოგურტები და სხვა ხილის ტორტი. თუ ტორტს სახლში აკეთებთ, მისი კალორიულობის შემცირება შემდეგი ხერხებით შეიძლება:

ბისკვიტების გაკეთების დროს, უმარგარინო და უკარაქო რეცეპტები შეარჩიეთ.

კარაქის კრემი და შესქელებული რძე ხილფაფით შეცვალეთ. ის ორგანიზმისთვის უფრო ადვილად ათვისებადია და არ შეიცავს ცხიმებს.

უარი თქვით ფენოვან ცომზე, რომელშიც ძალიან ბევრი ცხიმია.

მსუბუქი, ნაკლებცხიმიანი, ცილების მაღალი შემცველობის ბისკვიტები:

1) 1 ჭიქა ფქვილი, 8 კვერცხი, 1 ჭ. შაქარი;

2) 0,5 ჭიქა ფქვილი, 0,5 ჭიქა კრახმალი, 8 კვერცხი, 1 ჭ. შაქარი.

3) 2 სუფრის კოვზი ფქვილი, 2 ს. კ. შაქარი, 5 კვერცხი.

6. მკაცრად მიუდექით პროდუქტების არჩევას: პროდუქტი ახალი და მაღალი ხარისხის უნდა იყოს. შეამოწმეთ ვარგისიანობის ვადა.

7. ჰიგიენა კერძების მომზადების დროსაც დაიცავით და ნადიმის დროსაც. ალბათ, არაერთხელ მომხდარა ისე, რომ ლხინი და ქეიფი ბევრ თანამესუფრეს საავადმყოფოში გაუტარებია.




## ვულოცავ!

უღალატო მეგობარს, სიტყვაკაზმულსა და ზნეკეთილს, გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' ვულოცავ იუბილეს. იგი ყოველთვის იყო გაწონასწორებული, ერუდირებული, რაც იმ ადამიანთა დამსახურებაა, რომლებიც იდგნენ და ამჟამადაც ილვწიან სიტყვისა და თავისუფალი ნების გამოხატვის სადარაჯოზე.

ამის დასტურია სულ ცოტა ხნის წინ ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირის მიერ გაზეთის თანამშრომლების დაჯილდოვება.

გულითა და სულით ვულოცავ შპს ''სამტრედიის მაცნეს'' დირექტორს, ბეჟან გოგიას ორდენით ''ეკონომიკის ვარსკვლავი'', ''სამტრედიის მაცნეს'' მთავარ რედაქტორს, ქეთევან ჭელიძეს მედლით ''პროფესიული დამსახურებისათვის'', ბუღალტერს, დიანა ნიკოლეიშვილს სერტიფიკატით ''წლის სპეციალისტი 2015''-ით დაჯილდოებას.

უფალი იყოს თქვენი მფარველი არჩეულ ძნელადსავალ გზაზე.

*პატივისცემით მაყვალა ჩირგაძე*

## მაკა პაპავას!

დაბადების დღეს გილოცავთ, მაკა. დღეგრძელობა და სიხარული დაგაბედოს შენი ახალგაზრდა ოჯახის გამრავლებით, კეთილისმსურველების, მეგობრების, მოკეთეების სითბოთი და თანადგომით. გაგაბედნიეროს გარშემომყოფთა გულწრფელმა სიყვარულმა. სასახელო ქართველად გაგზრდოდეს შენი ანდრია.

გაიხარე უფლის მადლით და მფარველობით. მუდამ ღიმილიანი გვენახე.

*''სამტრედიის მაცნე''*


## განცხადება

შპს ''არგოს'' (ბაზრის) ტერიტორიაზე გვესაჭიროება კომუნიკაბელური გამყიდველი ქალბატონი.
ჩვენი მისამართია: ქ. სამტრედია, სააკაძის ქ. № 6. ტელ.: 598 43 41 76.

ქირავდება ბაზრის ტერიტორიაზე 9 მ² ფართი კომერციული საქმიანობისათვის.
ტელ.: 598 43 41 76.

გირავდება ბაზრის ტერიტორიაზე 13 მ² ფართი განკუთვნილი თონის პურისათვის.
ტელ.: 577 58 78 09.
შპს ''არგოს'' დირექცია



რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა